

პრიტი

პრიტი
თბილისი

№11 (174)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი


28 ივნისი

ფასი 80 თეთრი

1134+

2001

#11 2001



უგურო ეკო
ლუთარი ინტერნეტი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "არილი" გამომევა

არილი - დასავლეთელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - შხას შუქი, რამეზე დამდვარი
ძარბაზის მისი
განმარტობითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი შადიმან შამანაძე

სარედაქციო სბჭმო

მალხაზ ხარბედია
(მთრედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არწუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინო ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კვიციანი
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მინიფორი - მიხეილ ჩიტაძე
მოხარული დირექტორი -
გიორგი სუბარი

მოხიუბარული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: პ. ინგოროძის ქ. №5

ფურნალი იბეჭდება გავით
"კავსიონის" სარედაქციო ბაზაზე



№11 სუთხაპათი, 28 ივნისი, 2001
გამოლის ორ კვირაში ერთხელ

ლიბერალუა

ზვიად რატიანი

ნერილი საიდუმლო დედას.....	1
თამაზ ჯოლოგუა	
რამდენიმე ახალი ცნობა	
ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის.....	3
გიორგი ტატიშვილი	
მოგონება	4
თამარი ფხაკაძე	
მოთხრობები.....	8
აქვსანტი კვირტია	
მოთხრობები.....	11
ჯონ აადაიკი	
დამზადებულია ზეცაში	13
ნოდარ გურაბანიძე	
მსოფლიოს მესამე თეატრალური ოლიმპიადა (ნერილი მეორე).....	18
ალექსანდრე გვახარია	
ნერილი რედაქციას.....	22

პერსონა

დავიდ კირავარტ ლორენსი	
ლექსები.....	22
ტომას სტარნზ ელიოტი	
"უცხო ღმერთების კვალდაკვალი"	25
ქეთი სუბარი	
შესავალი დ.კლორენსის "რჩული ლექსებისათვის"	27


ინტერვიუ - იბალიური ნიშნები

უშვარტო ეპო:	
"ჩვენ ქსელის ლუთერი გვეჩივდება"	29
რანცო ოლივა	
გვისხნის თუ არა ინტერნეტი?	33

პუბლიცისტიკა

ია ანთაძე	
"არ გვინდა შენი მტვერსასრუტი, მოგვეცი, ღმერთო, მტვერსასრუტი!"	36
ზაზა ფაჩუაშვილი	
დასკენითი საკითხავი.....	39

ნერილი საიდუმლო დედას



*This is my letter to the World
That never wrote to Me,
The simple News...*

Emily Dickinson

ისევ იმ ძველ სიყვარულთა და იმ ძველივე ერთგულებით გესალმები. წლების მანძილზე არ გწერიდი, რადგან იყო ეჭვი, რომ ჩემს წერილებს ვიღაც კითხულობს. ალბათ არც ისე საფუძვლიანი იყო ეჭვი, ალბათ თვითონვე გამოუცხონე იგი ჩემს თავს, ხედიბი, არამტკიც. რათა დროებით დაგმალვოდი. იმდენ ვიტოვებ, რომ მათატიბ ამ სისუსტეს. ყველამ დამტოვა.

“ყველამ დამტოვა” ტყუილია და ეს ნათქვამი მიიღე, როგორც ნიჟმტიკიცა ჩემი ბიძმური უმადურების - ერთადერთის, რაც მაიძულებს ვწერო ლექსები. ყველა მათგანი - გვულისხმობს ლექსებს - არ შეიცავს თუმცა ოცნებას ან იმას, რასაც ანდა ზამი გულისხმობს ზავსი, მე მაინც მიყვარს მათი წერა: როცა მოძებრება გულდიან რაღაც, გარეგნულად ტკივილის მსგავსი, ოლინდ ზაზს ვუსვამ, გარეგნულად! საერთოდ, არსი დღეს უკვე არის არა სიღრმე, არამედ გარსი.

რაც ლამაზია, ყველაფერი არ იცოცნება. შესაბამისად, მეც მჩრევა შანსი

გაცხდე მორწმუნე. თუნდაც მხოლოდ ლექსის ფარგლებში. და მე ამ შანსით ვისარებლები. ახლა ადრეა. რწმენა მოიცდის, მიგრძენია ფეხსი ათრევა. თუ თელი, რომ მსგავსი მკრუნელობა არ შეკადრება, მაშინ სხვაინა ცხოვრებაში უნდა გავცეშე.

მე ახლა ეზივარ სამსახურში და ჩემს გარშემო არ აფერი ი, თუ არ ჩავთვლით აპარტურას - კომპიუტერებს, დანადგარებს. სწორედ საჩემო არის გარემო, რასაც მხატვრულად გაუცხოებას უწოდებენ. და ეს ბუნავი, მავთულებით და ნათურებით უხვად მორთული, დღეს ჩემთვის არის უფრო უნაკლო, უფრო მშვიდია და კომფორტული, ვიდრე ბუნება, - სხვა რა გთმზნა? - ვიდრე საწოლი, ან ვიდრე მუქუ, თვინიერი, ჯერ-არ-ნაწოვი.

რაც მოთავრია, ამ კვლევებში არასდროს ვნანობ,

რომ, ვთქვათ, წარსულში ვეღარაფერს ვეღარ გადავსული, ანუ აქ მართლა მარტო ვარ, ანუ “ყველამ დამტოვა” რჩება ძალიშო.

ისევ იმ ძველ სიყვარულთა, როგორც ვითხარი, და იმ ძველივე ერთგულებით, როგორც დავბინე, გესალმები და იმედა - თუმცა ხიზარულს არ მოგანიჭებებს ეს წერილი - არც დაგამძიმებს. წლები მიდიან, და თანდათან გადავიხარე იმ აზრისაკენ, რომ შენს გარდა ყველა მამცირებს.

ჩემი არ სჯერათ. თითქოს სჯერათ, მაგრამ არ სჯერათ. მე ამას ვგრძობი და, შესაძლოა, არათუ ძველი სიყვარულთა და ერთგულებით, იქნებ ასევე რაც მეტი სითბოთი გესალმები. არადა წერილს ეს არ ეტყობა, და პირიქით - თითქმის ბრცერითი გულწრფელი ფრაზა აქ არ არის, ანდა ითავსებს რაღაც ხელოვნურს და უკადრისს, რადგან აქცენტბი გადატანილი არის რითმაზე.

შევეშათო რითმებს. კარგად იცი, მათი შეწვენი - ვინმეს მოხიბლვა დიდ გმირობად აღარ ითვლება. მე არასოდეს - ესეც იცი - მათ არ ვუბნებდი (ეს შენც იცი და, მეორე, რითმებამაც), რაც ალბათ კუჭის გავლენაა: მიყვარს კერძები, რომელთაც დაჭრა არ სჭირდება და მიირთმევა არა დანიით და არა ჩანგლით, არამედ ხელით. და თუ ამ შექმნას გადავიტანი ლექსებზე, მაშინ მე მიყვარს ცივი პოეზია და არა ცხელი, არა წენიანში ჩალობილი, არამედ ხმელი, რომელიც თითქმის ქვაებება ზამში.

ვიგზავნი ლექსებს. ოლინდ ძველებს. ახლები არც მაქვს. ბუერი არ არის, ათიოდე იქნება ერთად. როგორც დედასთან არ მრცხუნვია, ვისაბრეც ხსცკვალს როცა მიუვდებ, ისევე შენთან მე არ მრცხუნვია ამ ლექსების. და თუ მრცხუნვია, მხოლოდ იმისი, რომ ბოლომდე ვერც მათ მივანდე ყველა ტყუილი ჩემს შესახებ, შემგვა სიმართლევ. ზოლი სიმართლე - მოსაწყენია.

ლექსი რა არის? არაფერი. მხოლოდ ნაწერი. ვერ გადავარჩებს ტყუილ-მართალს, როგორც საცერი, ისიც არ იცის - შენ ვინა ხარ, ვისი მამაველი, ან მაგიდასთან მთელი დამე რისთვის გაბედი. ის ვერ იქნება ბრამდებელი, და ვერც დამცველი, რადგან უბრალოდ ნაწერია - მხოლოდ ნაწერი, სადაც სიერცეში შეხედულად და დროში გაწვლილ სევდას ათავსებ. რა თქმა უნდა, ქებას არც ველი.

21952

საქართველოს
მედიკალი
საქართველო

მისთვის არაფერ არ დავაგდამს დაფინს ვვირგინებს;
 უფრო პირიქით - ამ სედასკ ვილც გვიინებს,
 რაც, თავისთავად, საწყენია, მაგრამ ვაძლი...
 რამდენჯერ მითქვამს, ვიშორებ ახლაც ივაცეს:
 დაე, ლუქუბმა ჩემს შესხვებ მეტი იცნონ
 და მომაწერონ, რაც არა ვარ. ნება მათია.
 რაც არ მიქნია, დამბარადონ. მე კი ვცისრულობ,
 რომ მათ არაფერს არ დავუშლი. ღმერთკრატია.

დღეს მშრალი ხიდი ვორინცოვზე გადავიდიო.
 მზე ჩადიოდა და დღელია მუქმოწითალოდ
 თუ მოყავისფროდ ვველაფერი - მტკვარი, მიდამოც;
 ავადმყოფური ფერი იყო, მგონი - იოდის.

ხიდის მოაჯირს დავვერდნი, წავიპოეტე.
 ვუშურდი წვალს და ირბ მზეში გაიქვევილ ქადრებს.
 თითქმის გულწრფელად გაიფიქრე: უკვე მოვიდი,
 და მტკვარს ჩავეხდი (ასეთი რამ მომხდარა ადრეც,
 მოხდება მეორეც), და რაღაც მანიშნა მტკვარში...
 შენ ცვლს ნურაფერს გაიფიქრებ, მხოლოდ ვიამაშობ.
 და ვიცე ცურვაც! მართალია, მიილად თეხში არ ვარ,
 მაგრამ არც მტკვარი არის ღამანში.

გადავცურავდი. რა თქმა უნდა, საქმე აქამდე
 აღარ მისულა. გამოფხიზლიდი, ჩემ გზას ვაკვევი
 და უკან დამრჩა მშრალი ხიდიც, მღეროდ ნაკადიც
 მთელი თავისი ანკესებით, და ბავაყითი.

მე გადავიდი მოედანზე. იქ შემხვდა ქალი.
 ასაკით უფრო გოგო ვითქვამს, მაგრამ აბერებს
 მუქი თავშალი - მორწმუნეა, ანუ მხეგალი
 უფლისა ჩვენი. მუდამ მბებენე
 მსგავსი ქალები; არის მათში რაღაც უსულო...
 შემხვდა და რაღაც მომილიცა, მისურება - მრავალს
 კიდევ დავცნორი დღისი შეწვევით. და მეც უსურვე.
 რას მილოცავდა, აღარ მითხრა. ჩათვალა, არ ვარ
 ისეთი ბიჭი, არ ვიცილდე. ძალიან შეცდა.
 შობა-აღდგომა-გიორგობა, ამაზე მეტი
 მე სხვა თარიღი არც მცოდნია არასდროს; მეც და
 ალბათ თეთონაც სამი წლის წინ.

ეს ქალი ერთი
 თითქმის ღამაში გოგო იყო სამი წლის წინაი;
 მე მას ვიხსენებ ჩვეულებრივს, მუდამ მიზარულს.
 რამ დააგროვა მის სიტყვებში ადრენი რკინა?
 ვეშვიდობები; მიწვდის სანთელს, ნაკურთხიათ.

რატომ ვიფიქრებ ამ ვველაფერს? რატომ ჩავთვალე,
 რომ ის ხარ, ვისაც ვველაფერი უნდა გაეცნოდ?
 რაც უფრო ეტყუე, შენ მითუფრო რად ხარ მართალი?
 ან რატომ ვცდილობ, წარმოსხვად დავიკავადო
 შენით, რომელიც, თუ არსებობ, მისი არსებობა,
 ამ წარმოსახვით. ის ფოველდე გშლის და ხელახლა
 ხატავს შენს სახეს, შენს ბაგეებს, თვალებს, ასევე
 გიცვლის სახელებს, მაგრამ შენგა
 არ შეუძლია შენი ხატის; და სულ იცვლები.
 და თუკი რამე არ იცვლება - მხოლოდ სიხნდე,
 რომელშიც ზიხარ და მიყურებ გაუცაცობით,
 და გვიამოვნებს, როცა ვიხნევი.

მე ახლა ვზივარ სამსახურში. რაკვილე - შკალები,
 დანადგარები, ეკრანები, ტიკვილი ნივთები,
 რომლებშიც თითქმის ვერ ვერკვევი; არც ვეკარები.
 დანადგარები ასხივებენ. და მე ვსხივებდი.
 გარეთ ცდილობს და ვერ ღამდება. მე აქ ვარ მარტო.

ღამის დარავი. თუ მორიგე. რაღაც ასეთი.

თურქ ტყუილად, სულ ტყუილად არ ვაფასებდი
 ასეთ საქმეებს: გამორთი, ჩართი,
 და არაფერზე არ იფიქრო. ჩემში მატკულობს
 შექანიკური ორეული, რომელიც აივებს
 თვინთაკეთ ღამებს, რომლის ხელი ავტომატურად
 ვიბეში ეტებს სანთებელს... პოულობს სანთელს.

გადატეხილა; ორი თითით ესრეს და გამორთელბ.
 რისთვის - არ ვიცი, მაგრამ ვიცი - უნდა ავიანო.
 დანადგარები ასხივებენ, იცვის სანთელი.
 იწვის უმიხნილ. უფრო სწორად, უმისამართოდ.

იწვის სანთელი და ანათებს ფურცლის მართკუთხედს.
 ცდილობს მასწორებას; ეუხმარები ჩემი თითებით.
 არ მაინებდეს ერთი სიტყვა, სიტყვა "ნაკურთხი",
 ეკვი არაა, შენ დაგინთებდი
 სანთელს, და იგი ჩემთვის უცხო, შენთვის კი ალბათ
 ნაცნო ენაზე გაამბობდა ამ საღამომდის
 ჩემს მხორებებში მომხდარ ვველა მოსაწყენ ამბავს,
 ოღონდ არც ისე მოსაწყენად, მე რომ გამობდის.

შენ იცი, ვინც ხარ. მე არ ვიცი. თუკი ერთიშემ
 ამჟღავნებ შენს თავს, მხოლოდ ერთით: ფურცლის სიღრმეში
 რამდენჯერ თითქმის ვასაგონად ამოიხვნეშე,
 რამდენჯერ თითქმის მომეჩვენა, როგორ ქვითინებ...

რამდენჯერ იყო, ვათხრებინე ფურცელი კალამს,
 ფურცლის ქათხათა ზედაპირი, რომელიც გმალავს,
 ზამთრის რამდენი უსინათლო ღამე გათენე
 და ტყუილია, რომ შეცდიდა რამეს გვასწავლის:
 ამოუხრნიდი და ვრწმუნებოდი: ეს მერამდნელ
 სხვაში, გერ კიდევ ხელუხლებში, გადამასწარი.

მე ახლა ვზივარ სამსახურში და მეყვინებთა;
 ვალებ ფანჯარას, რათა ვრილი ჰაერის ტალღამ
 გამომთავხიზლოს. სიხნდეა, და მხოლოდ მაღლა
 უხმოდ მიფერინავს თეთიმორინავს: ქრება, იწობა
 და ისევ ქრება აღისფერი ციცქნა ნათურა...
 რა იწებოდა - მომხდარიყო - და ამ ქვეყნიდან
 წაესვლიდაფი სადმე სხვაგან, სადაც ქართული
 არვინ საუბრობს, არვინ მიცნობს, და იქ მეყვია
 სუვენირები, საჩუქრები - მათთვის, ვინც დამჩნა
 საქართველოში; და მეწერა ხელის კარგალით
 ბოდიშნარევი წერილები - "მე თეთონ მტანჯავს
 ეს განსორება, და ახნა" - რაღაც ამგვარი.

შენ იცი, ვინც ხარ. მე არ ვიცი. მხოლოდ გივ ზავნი
 - ისიც სულ უფრო იმეფათა - მოზრდელ ბარათებს,
 სადაც გიმტკიცებს, რომ არასდროს არ გილაატებ,
 რაც ალბათ შენთვის სურველია, შენი მიზანი
 ალბათ არასდროს არ ყოფილა ჩემი ბავუვლი
 სიყვარული და ერთოვლები; არც ეს გადარდებს,
 თუ ევლარაფერს ვედავ დაწერ, - რაც, სხვათაშორის,
 მალე მომივლის, თუკი მანამდე
 რაღაც არ მოხდა ცსოვრებაში: თან უკვარი,
 და თან სწორედაც მოსახენი, ნალოდინები;
 თუ ისე დარჩა ვველაფერი, როგორც დღეს არი,
 ძველი წყლითა და სადინართი, ძველი დინებითი.

ქარი წაიღებს ჩემს წერილებს. არ გამოირიცხავ,
 რომ ის წაიღებს არა მხოლოდ თავის მოტანისლს;
 კიდევ რაღაცას გაიფიქრებს... თუ არ მოირწყა,
 წალკოტიც ისე გადახმება, როგორც ბისტანი.

რამდენიმე ახალი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (N19232-ხ, ფურც.2) დაცულია გიორგი ტატიშვილის (1870-1955) უსათაურო მონაცემება ნიკოლოზ ბარათაშვილის დებუხე; სოფიო სუმბათაშვილისა და ბარბარე ვეზირიშვილზე, მათ ოჯახებზე, აგრეთვე, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიმიტრი ყფიანის ურთიერთამოცილებულულებაზე. ვფიქრობთ, ეს მოგონება, რომელშიც რამდენიმე გამორეკეცილებული ცნობა მოიპოვება ჩვენი დიდი პოეტის ოჯახურ წრეზე, საინტერესო მასალაა ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მკვლევართათვის.



ზომი რამ მოგონების ავტორმა...*

გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი დაიბადა 1870 წლის 10 მარტს, გორის მაზრის სოფ.ძეველში. მამა ადრე დაეღუბა (7 თვისას). დედა - ეკატერინე გიორგი (იანგორ) მირზაშვილის ას. ტატიშვილმა - გაიჭირვებაში შევიდა (სხვა ცნობით - ექვსი) შვილი გამოზარდა, რომელთაგან ზოგი მცირეწლოვანებაშივე გარდაეცვალა და საბოლოოდ სამი შვილი შერჩა: ნიკოლოზი (დაბ.1860), გიორგი (წინამდებარე მოგონების ავტორი) და ნინო - შემდგომში მწერალი, საზოგადო მოღვაწე, კორე ყფიანის მუფლე.

გ. ტატიშვილი ჯერ გორის სემინარიასთან არსებულ პირველდარწევით სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო 1879 წელს დედამ თბილისის პირველ გიმნაზიაში შეიყვანა. გიმნაზიაში გიორგის ორი წელი გაუცდა ავადყოფნობის გამო, შემდეგ ექსტერნად სცადა გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ოჯახურმა ვითარებამ აიძულა, სოფელში (ძეველში) დაბრუნებულიყო, სადაც ოჯახს მოეკიდა (ცოლად შეირთო წრომიელი პეღლაგია წინამძღვრიშვილი) და შინამწურნობას მიჰყო ხელი, მაგრამ 1899 წელს სტიქიამ ყველაფერი გაუნადგურა და იძულებული გახდა სახელმ-

მე ახლა ვზივარ სამსახურში... მე ახლა ვწევიარ ოქრის ქვიშაზე, თიღ ქვიშაზე, ჩემი ტერფები დროგამოშვებით ისუსხება გრილი შხეფებით მორიგი ტალღის, ცა ირწევა, და მისი რწევა მიღუნებს თვალებს, და მაძინებს, და მე ვეძინებები ბედნიერ სიზმარს, პირველზე... და ვიწეებ წერას.

მე ვიწეებ წერას... ვიწეებ წერას... ვიწეებ... ვიწეებ... ფურცლის სიღრმეში დასანგრული, შენ მითვალოვალე და ასო-ასო მითვლი სიტყვებს, როგორც მრიცხველი. მე ვიწეებ წერას, ანუ ვამთავრებ ცხოვრებას, - უკვე მერამდნედე! - ანუ ვიშხრევი და ვეუფნები დედამიწას, შოვარეს, პლანეტებს, და მათთან ერთად ვთვლიანლები... ანუ ვამტებ.

არა იმიტომ ვიწეებ წერას, რომ როცა ფარდა გადაიწია, ვართ რაღაც ლამაზი ჩანდა, უკეთ - ვახფხული, ან ვეთიღი ვთიღების ფანტეკი, ან მოთამაშე მშვენიერი ბავშვები, ანდა ქალი, რომელსაც ველარაფებს მორაგებს, გარდა დაიწეებხისა. ვიწეებ წერას, რაკანა ვებრები ჩემს თანდაყოლილ საიარფრეს, რომელსაც მუდამ ვკრძნობდი და ვკრძნობდი სისხლით, თვალთა, თუნდაც კანის ყოელი უჯრედით და ყოელი ბეწვით.

იხვე იმ ძველი სიყვარულით და იმ ძველივე ერთგულებით, თუ რაც არის (ამასთანავე გულიდან თითქმის უჩებლიედ გამოცეკნილი სიტყვებითა და იმ ვეღაფრით, რასაც მალავენ ან ვერ ამბობენ ეს სიტყვები) და ძველი, ძველი გულბრევილობით გესალმება, ხოლო ქალაღდზე მორჩილად კაწრავს მორჩილ სიტყვებს მორჩილი ხელი არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ მე რაღაცით უხედური ვარ, ან პირიქით, ან სხვას უკეთეს ვერაფრეს შეეძლება, ან მარცლებში უცებ მივთვლებს, სისხლის ერთერთი ურჩი წვეთი, ან, მითუმეტეს, რომ მაქვს უფლება სიტყვის (იხილეთ

კონსტიტუცია); ვიწეებ წერას, რომ იშვიათად და ისიც წაბით, მაგრამ მოვწედე - მიწას, იატაკს, ცხოვრებას, დამოიღეს - ამდენ სიზმრად, ცხადად, ეტაბად, სამსახურებად, ქალაქებად, მკვდრებად, სუფრებად, რომ მოვიპოვო ერთადერთი ტიხილი უფლება - უფლება სიბერის... ასაკისდა მიუხედავად.

პარილი, 2001



* მასალა გ. ტატიშვილის ბიოგრაფიისათვის (შემუარისტის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები) მოგაწოდა მისმა შვილიშვილმა, პროფესორმა მეტყველებნაწერმა, გიორგი (ვოგი) ბეჟანის ძე ტატიშვილმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

წივი სამსახურში შესულიყო - დანიშნეს სააქციო უწყების მოხელედ და გაგზავნეს ნუხის მაზრაში, საიდანაც სიღნაღი გადმოიყვანეს. სიღნაღ გ. ტატიშვილი აქტიური წევრი იყო იქ მცხოვრებ ქართველ მოღვათა მცირერიცხოვანი ჯგუფისა (ივანე და გიორგი კვალიაშვილები, კოლა ერთთავი, სანდრო დიასამიძე, ლევან ფაველინიშვილი), რომელიც ეწვერიულად იცავდა ადგილობრივ მოსახლეობას შოეინისტურად განწყობილი სომხური ბურჟუაზიის შემოტყეებისგან და, რაც მთავარია, ამ მხარეში ააღორძინა საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა: ჯგუფის წევრები ხელს უწყობდნენ ახალი სასწავლებლების გახსნას, მართავდნენ წარმოდგენებს, დააარსეს ნიგნ-საცავ-სამკითხველო და სხვ. ამის შემდეგ გ. ტატიშვილი ქართლში განაწესეს სამსახურში - სადაგურ გომის "სარაიონო აქციზად" და იქაური არყის ქარხნის ზედამხედველად. ცოტა ხანში გ. ტატიშვილმა სამსახურს თავი დაანება და დასახლდა ცოლის მამულში - სოფელ წროშში, სადაც გახსნა სკოლა, კოოპერატივი, საფეიქრო, გაიყვანა წყარო, გააშენა სანიშნუში ვაზის სახერგე, ასწავლიდა სოფლის ბავშვებს ვაზის მოვლა-პატრონობას, მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, შეუდგა მტკვრიდან სარწყავი არხის გამოყვანას, აბანოს მშენებლობას (ინჟინერ ლეო დიასამიძის პროექტით), მაგრამ ამასობაში რევოლუციამ მოუხსნო, ქვეყანა აიწუნა, წროშის მამული სოფელს უსასყიდლოდ დაუტოვა, ერთხანს გორში იმსახურა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა და საბოლოოდ თბილისში გადმოსახლდა შვილებთან.

გიორგი ტატიშვილის პატრიოტული და მოქალაქეობრივი თვითშეგნება კარგად ჩანს მისსავე სიტყვებში: "მე მუდამ უპარტიო ჯგუფში ვიყავი. შანადა მხოლოდ ის, რომ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ საქმიო იყო ხალხში შემეტანა სწავლა-განათლების შეგნება და ეკონომიკურად ხალხის ააღორძინება."

გ. ტატიშვილს ზედმა მწარე სიბერე არგუნა - ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი, რომელთაგან სამი 1920-1930-იანი წლების ბოლშევიკურ რევოლუციებს შეენირა, მათ შორის ბებარე ტატიშვილი (1897-1937), გამომჩნილი საოპერო მომღერლისა და მუსიკალური მოღვაწის, სახალხო არტისტის ცისანა ტატიშვილის მამა.

გ. ტატიშვილი გარდაიცვალა 1955 წელს, დაკრძალულია გორში.

როგორ მოხდა გიორგი ტატიშვილი ქვეშეთში, სადაც წინააღმდეგარე მოგონების მიხედვით, მან გაიგნო სოფლი სუმბათაშვილის ოჯახში? საქმე ისაა, რომ, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, გიორგი იყო ძმა კოტე დიმიტრის ძე ყიფიანის ცოლის ნინო ტატიშვილ-ყიფიანისა (1867-1937) და ძალზე აბლო ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრის ოჯახთან. ამის შესახებ გ. ტატიშვილს აღნიშნული აქტის თავის ვრცელ და მეტად საინტერესო მოგონებაში დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც, სხვათა შორის, ვამზადებთ გამოსაქვეყნებლად: "დიმიტრი ყიფიანი ვიცნობდი 8 წლის ყმაწვილობიდან. ჯერ ჩემი და - ნინო - მის შვილს კოტეს არ შეერთო, რომ სწორად დავეიოდი თვეობით (ქვეშეთში - თ.ჯ.) დეიდაზე მონიკოსთან, რომელიც იყო ცოლი დიმიტრის ძმისწულის ვასლისა და, - შემდეგ ჩემი დის შერთვისა, - ხომ თითქმის ერთად ვცხოვრობდით" (ლიტ.მუხ., N13502-ბ, ფურც. 5-6).

გიორგი ტატიშვილი, ჩანს, არ იყო წერაში განაწეული. ამიტომ მის ტექსტში საქმიო გახდა რედაქციული ხასიათის ჩარევა (გრაზმატიკულ-ორთოგრაფიული, ალაგალაგ სინტაქსური). ამასთანავე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგარე პუბლიკაციაში სრულადაა დატყული თხზულების შინაარსობრივი მწარე და, ძირითადად, ავტორისეული თხრობის მანერაც.

დასასრულ, უნდა დავიწინოთ, რომ გ. ტატიშვილის თხზულებას ჩვენამდე გასცნობია მკვლევარი მღვიან თაქთაქიშვილი, რომელსაც თავის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში - "ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტები: მითი და სინამდვილე" (გაზ. "კალხასობა", 1997, N13) ციტირებული აქვს მცირე ფრაგმენტი ჩვენთვის ამაგამად საინტერესო მოგონებისა.

გიორგი ბაიშვილი

მოგონება * *



ნიკოლოზ ბარათაშვილის და - სოფიო (!) - იყო მეუღლე სოფელ ქვეშეთში მცხოვრები თავადის, ვასალ სუმბათაშვილის ქეი.

სოფიო მუდამ ამყობდა მარტო თავისი ძმით კი არა, არამედ თავისი ჩამომავლობითაც; ბუნებრივად ისეიი ამაყად და ამატყატყარი იყო, რომ დიდად განათლებულ-კულტურულ დიმიტრი ყიფიანის ოჯახთანაც კი არ ჰქონდა მეზობლობური კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა - ნიკოლოზი - დიდი მეგობარი იყო დიმიტრი ყიფიანის ოჯახისა.

სოფიო საშუალო ტანის ქალი იყო - პატარა თვალებით, მოზრდილი სახით.

სუმბათაშვილის ოჯახში მას დახვდა გერი - ნიკოლოზი, რომელიც ჰყავდა ვასლის პირველი ცოლისგან, ციციშვილის ქალისგან.

ეს კოლა, - როგორც ჩვენ ვეძახებით, - ცოტა არ იყოს საწყალი და უწყინარი კაცი იყო. ამისგან რისამე ცუდის ჩაწენა შეუძლებელი იყო, მაგრამ დიდინაცვალს - სოფიოს - მინც ეფეავრებოდა გერი კოლა და დაწავრუ-

** დასათურება ჩვენია - თ.ჯ.

ლი ჰყავდა მუდამ, რის გამოც კოლასაც თავისი დესპოტი დედინაცვლით დიდად ეგავრებოდა.

საერთოდ, სოფლის თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა: ამყობდა თავისი ძიძია და თავადური ჩამომავლობით, რის გამოც არათავდა უზრალოდ თავს არ გაუფრდებდა. ქეშშეთის საზოგადოებასთან საერთოდ და, კერძოდ, ქეშშეთის ინტელიგენციასთანაც კი საერთო არა ჰქონდარა. არ მასსოვს, რომ რამე საზოგადოებრივი მნიშვნელობის კრებაზე ამ კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობაში მის მონაწილეობა შეიძლოს, ანდა მის შვილებს, - რომლებსაც არავის აკარებდა, - მივლით მონაწილეობა. თავისი თვითმპყრობელი ხასიათით მთელი ოჯახი მოსამსახურეებითური მაგრად ხელში ეჭირა და ხშირად საგარეო (მამულის) საქმეებშიც ერეოდა. ასე რომ, უფიქროდ რამე ვისმე გაეცეთებინა, არ შეძლო. კოლა გერს, - თავიდაც რომ მოეუწონებინა, - მალე ცოლი შერთო და პატარა მამულის გამოყოფით ცალკე დაასახლა; მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ყველაფერი ბლომდა ჰქონდა, არაფერი გაატანა, გარდა ნარჩხურისა.

სოფლის საკუთარი ორი შვილი ჰყავდა: ქალი - კატუშა და ვაჟი - გიორგი. ორივე შეგრობა საშუალო სწავლა მიიღო: ვაჟი - გიორგი - ნიეცკოვსკის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი იყო, ქალი კი მუდამ თავის გვერდით შინა ჰყავდა და არავის აკარებდა; უფადოდ რომ რამე საზოგადოებაში გარეუფიყო, ყოფილად შეუძლებელი იყო, რის გამოც დაეკტილ გალიაში ქალს არავითარი განვიტარება არა ჰქონდა. უკანასკნელ დროს მათთან ოჯახში სიარული დაიწყო ერთმა პოლიციის თანამდებობის ლეკმა, რომელსაც კატუშა ფარულად ცოლად გაჰყვა.

ჩვენ, თანატოლინი, ამხანაგი ყმანვილები კოლას ხშირად ვატიყრდებით ჩვენთან და, - ვიცოდით არა დედინაცვლის დამოკიდებულება მისდამი, - გვეცოდებოდა და მუდამ ყურადღებით ვეპყრობოდით; სწუხდა, რომ არ შეეძლო თათის ოჯახში გადახდა ჩვენი პატივისცემისა, რის გამოც ხშირად თავს გვარიდებდა.

სოფლის ერთი დაც - ბარბარე (3) - გათხოვილი იყო ჩვენს მეზობელ სოფ. ოსიაურში. იგი ცოლად ჰყავდა გენერალ დიმიტრი ვენიჩიშვილს.(4) სიზორის გამო მათ ოჯახთან ისე დაახლოებულა არა ვყოფილვარ, როგორც სუმბათაშვილის ოჯახთან, მაგრამ ცინზინად ყველას ამ ოჯახის წევრებს და გამოგონია ბევრი რამ მეზობელ-ნათესაობისგან ამ ოჯახზე პირველ გიმნაზიაში ვაჭიშვილი ვენიჩიშვილისა - გიორგი(5) - ჩემთან სწავლობდა: მე - უმცროსი კლასებში, ის - უფროსი კლასებში და მასსოვს, როგორ მრისხანედ პროტესტი გამოუცხადა გიმნაზიის ადმინისტრაციას, როცა არ შეინწყარეს ქართველი მოწაფეების თხოვნა, ბატონიშვილ ირაკლი ალექსანდრეს ძის(6) დასაფლავება ქართველებისთვის სამკლოვიაროდ დიდდ გამოეცხადებინათ და გიმნაზიის ქართველი მოწაფეებისთვის მთელი შემადგენლობით დაკარსლავებ დასწრების უფლება მიეცათ. მე მასსოვს(ჩვენ, პატარა მონაფეებს, როგორ გვეწერგავდა სამშობლოსადმი სიყვარულს.

ამ ვაჟის გარდა ჰყავდაც ორი ქალი: ერთი იყო მეუღლე ვასილ მაჩაბლისა(7) და მეორე იოსებ ფალავანდიშვილისა. მაჩაბლის შვილებმ აღზარად საუკეთესო მწიფედი(8), რომელთაც სიყმნვილებში დედისგანაც ჰქონდათ ჩანერგილი კეთილშობილური მისწრაფებანი.

ვენიჩიშვილის მეუღლეს მე ვიცნობდი უფრო კულტურულს, შედარებით თავის დასთან და გამიგონია სხვაენისგანაც ეს აზრი, რომ ის ბევრად მაღლა იდგა სუმბათაშვილის ცოლზე.

დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ხშირად იყო ხოლმე ლაპარაკი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. ამ ხშირი მოგონებები ჩანდა, რომ დიმიტრის ოჯახის უპირველესი, საყვარელი მეგობარი იყო(9). ხშირად მოიგონებდნენ მის ოსუნჯობას, მის ცეკვასა და მზიარულებას; ხშირად ჰქონდათ სჯავბაისი მის დიდ პოეტურ ნიჭზე(10), სამშობლოს სიყვარულზე, მის უმწიკვლო პატიოსნებასა და თავმოყვარობაზე; ხშირად შესწავლა: როგორც და არის სოფო ტატარის - ხასიათითა და აღზრდით სრულიად არა ჰგავს; ტატო სრულიად უზრალო კაცი იყო, თავმდაბალი და გულკეთილი, სოფო კი - ამაყი და ამპარტაყანი. გამოგონია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სუფრავზეც კი ისეთი მზიარული იყო, რომ ბადალი არა ჰყავდა; ლოთობა არ უყვარდაო და ამისთანებს კიდევაც ციხავდაო, ქეიფში კარგი სიმღერითა და კარგი, შეგნებული საზოგადოების შეკრებით, მუდამ მზად იყო მონაწილეობა მიეღო. ამ დროს ხშირად თავის უფის დავითარში რაღაცას ჩასწერდა ხოლმეო. ამბობდნენ: თუ ტატო ჩვენთან შინაურულად სადილის დროს ამ ვახშამზე არ მოვიდოდაო, ჩვენ ყველანი ნანწყენი ვრჩებოდითო და ვინც ზარს დარეკავდა, ჩვენ გული ფანქცალს დაგვიწყებდა ტატოს მოლოდინშიო. ხშირად იგონებდნენ დიმიტრის ოჯახში, თუ რა თავზარი დამეცა მთელს დიმიტრის ოჯახს, როცა ტატოს ავადმყოფობა და მერმე სიკვდილი შეიტყვეს... დიმიტრის ოჯახს ისე უფლოვია, როგორც სხვა მის უახლოეს ნათესაობას. დიდხანს მათი სახლი გლოვის ოჯახად ყოფილა გამოცხადებულა.

ვახშამზე რომ დაიწყებდნენ ტატოზე ლაპარაკს, ისე გაერთიონდნენ ხოლმე, რომ მამულების ყოველ გაახსენდებოდათ ძილის დრო. თვითონ დიმიტრი ტატოს მოგონებაზე უსათუოდ იტყოდა: სამშობლომ დაკარგა დიდი კაცი და მე მეგობარი. ამას იტყოდა უსათუოდ ფერწასული და ამოიხორბდა.

იმ დროს, როცა ტატო ყოფილა დიდი მეგობარი და საყვარელი დიმიტრის ოჯახისა, მისი და სოფო მათ ოჯახში მყოფი ერთხელაც არ მასსოვს.

ყველაფერი, რაც აქ ჩამოთვლილია ჩემ მიერ, ბევრი მე თვითონ მინახავს და მოვსწრებივარ და ზოგიც გავგონილი მაქვს.

დიმიტრის მეცურად მოკვლის დროს(11) მე უკვე 17 წლისა ვიყავი და ეს ხომ ის ხანაა დადამინის ცხოვრებაში, როცა მას გაგონილისა და ნანახისადმი დიდი ინტერესი აქვს აღძროლი.

5/ X, 1945 წ.

შენიშვნები

(1) სოფო მელიტონ ბარათაშვილის ას. სუმბათაშვილი (1842-1916) - ნიკოლოზ ბარათაშვილის და, გენერალ ვასილ სუმბათაშვილზე გათხოვილი. ცხოვრობდა ქეიშხეთში. 6. ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ერთ-ერთ ბარათში სოფო "აღლაპუტილას" მეტსახელთაა ნახსენები (იხ. 6. ბარათაშვილი, თხზულებანი, ა. გაქვირდილიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ.122, 226).

(2) ვასილ სუმბათაშვილი - ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე; გენერალი, რომელიც სამხაზურდან გასვლის შემდეგ თავის მშობლიურ ქეიშხეთში ცხოვრობდა. "ცნობის უწყვეტში" გამოქვეყნებულ ერთ პუბლიცისტურ თხზულებაში ნახსენებია ქეიშხეთში "შემაშვილ ვასილი", რომელიც "მდიდარი მებატონეა, ახალ-ახალ წინაშობებს ეტანება, გულგატეხს აწუხებს, მკარამ მამინე დიდი გავლენა აქვს ხალხზე", თუმცა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებლის ზელშეუწყობაზე სულაც არ ფიქ-

რობსო (დ.ე ივიანი , ორი შერბა, "ცნობის ფურცელი", 1903, N2171). ცნობილი ბიბლიოგრაფის თამარ მაჭავარიანის აზრით, ეს "შემამულე ვაიხილი" ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე - ვასილ სუბიათაშვილი უნდა იყოს (იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ.VI, ნაწ.II,თბ.,1975, გვ.522, N8023).

(3) ბარბარე მელიტონ ბარათაშვილის ა. ვეზირიშვილი (1835-1919) - ნიკოლოზ ბარათაშვილის და, გათხოვილი გენერალ-მაიორ დიმიტრი ვეზირიშვილზე (იქორწინეს 1852 წელს). ბარბარე ვეზირიშვილის ნაქონია ნ.ბარათაშვილის ავტორგრაფული ხელნაწერები: ა) ლექსთა კრებული; ბ) ბუდი ქართული იხ.უ.თავაშვილი, ნ.ბარათაშვილის ავტორგრაფები, წიგნში: ნ.ბარათაშვილი, ლექსები. ბუდი ქართული. წყაროები, ს. ფორცხაღაბეს რედაქციით, ტფ., 1922, გვ.128; ამჟამად პოეტის ეს ავტორგრაფები დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კაცკელისის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში - H-2033, 2034. მათი აღწერა ნიკოლოზ ა. ხელნაწერთა აღწერაში, ტ.V, შუდგენილია და დასაბუთებლად მომზადებული დ. მეფარიშვილის დ.ე. ვირსალაძის მიერ აღ.ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ.25; უნდა აღინიშნოს, რომ წყაროდ ეს ხელნაწერი ადვილ საფუძვლად პოეტის თხზულებათა ავტორგრაფულ გამოცემას - იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბუდი ქართული (ავტორგრაფები), ს. ინგოროვას წინასიტყვითა და შენიშვნებით, თბ., 1968, გვ.9 . ბარბარე და ტოტა საინტერესო მოგონება თავის ძმაზე (იხ.ნ.ბარათაშვილის თხზულებათა ზემოდასახელებული 1922 წლის გამოცემა, გვ.241-242).

ბარბარე ვეზირიშვილი გარდაიცვალა თბილისში და აქვე, ვერის ირანე ღვთისმეტყველის კლესიის ვალაჯანში დაკრძალეს (იხ. ე. ბარბაქაძე, "მელიტონი... ტფილისისთვის ზომ არ ოხრავს?", გაზ. "სიტყვა", 1998, N3).

უნდა ითქვას, რომ თანამედროვეთა აზრი ბარბარე ვეზირიშვილზე არა ფიჭოლა ერთგვაროვანი. კერძოდ, დავით კლდიაშვილი, რომელიც პირადად იცნობდა ბარბარეს, მასზე წერს: "არაფრემ ეტყობოდა დიდებული მძის ნათესაობა" (დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ.643).

(4) დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი (გერდ.1898) - ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე, რუსეთის არმიის ექვანდ-მაიორი. ერთხანს ბათუმში მსახურობდა და მისი იქ ცხოვრება-საქმიანობის შესახებ უწერია დავით კლდიაშვილს: "ვეზირიშვილი ახიზრებული ადამიანი იყო; თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქოს მისი ყმები იყვნენ. სამსახურის შესახებ არა იცოდა რა. უყვარდა პარადობა და რადგან ბათუმში არაფერი გასართობი იყო, ყმაწვილი ქალბები ჩააქცივდებოდნენ ხოლმე ვეზირიშვილის გამოცეკვან ბატალიონი საკარჯიშოთ-საპარადოდ. ვეზირიშვილიც უხრულებდა მათ თხოვნას - გამოეყოფა როგორც და ამით წინაშე ცერემონიალით არიონებდა წინ და უკან" (დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ.643).

დიმიტრი ვეზირიშვილი გარდაიცვალა 1898 წლის აპრილში, თბილისში, საიდანაც მის შობილიურ ოსიაურში წაასვენეს და იქ საგვარეულო სამარხში დაკრძალეს ("ივერია", 1898, N83). სხვათა შორის, იქვეა დაკრძალული მელიტონ ბარათაშვილიც (ამ საითხზე იხ. ე. ბარბაქაძე, "მელიტონი... ტფილისისთვის ზომ არ ოხრავს?", გაზ. "სიტყვა", 1998, N3).

(5) გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი - ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული. დამთავრებული ჰქონდა თბილისის პირველი გიმნაზია. 1880-იან წლებში ც. ვეზირიშვილი პარაზში სწავლობდა და იქ მოსწავლედ ქართველ ახალგაზრდათა ერთ ჯგუფთან ერთად 1884 წ. იანვარში წყრილობით სიბოხის საერთოვლით გამოშვებული პრესის რედაქტორებს - "წვეწეური ჟურნალ-გაზეთები" გამოეგვიგზავნეთო (წერილი რედაქტორთან, "დროება",

1884, N133).

(6) ირაკლი (ერეკლე) ალექსანდრეს ძე ბატონიშვილი (ბავარტონი-გურუზისცი) (1827-1882) - ალექსანდრე ერეკლე II-ის ძე ბატონიშვილის ერთადერთი ვაჟი. დიდადა მსარსოვნი (სალმასტში - იხ. დიდიერი, "დროება", 1882, N90), სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი იყო გადახვეწილი. ერთხანს ერევანში იზრდებოდა დედისთან - მარიათ საკის ა.ს. აღამალოვსთან (გარდ. 1882; ხელნაწერთა ინსტიტუტში, პაპავა წერილობის ფოტოკოლექციამ (NN884,885,1111) დაცულია მარიამის რამდენიმე ფოტოსურათი. იქვეა დაცული (NN874,880) თვითონ ირაკლი ბატონიშვილის ფოტოცნობები). შვიდი წლისა, ირაკლი ბატონიშვილი დედისთან ერთად პეტერბურგს გაგზავნეს, სადაც იმპერატორი ნიკოლოზ II-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა - ჯერ ცარსკოე-ხელოსის სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ კი სახვადრო სასწავლებელში გადაიყვანეს პეტერბურგში, მაგრამ ირაკლიმ რუსეთში სწავლა (საერთოდ იქ ყოფნა) არ ისურვა და დატოვა სასწავლებელი. 1840-იან წწ. იგი თბილისში და მეფისწავალ მიხ. კორნცივის მურადილობითა გარემოსილი. 1860-იანი წწ. დასასრულს ირაკლი ბატონიშვილი სამკურნალოდ გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა იმპერატორ ნაპოლეონ III-ს. საფრანგეთშივე (პარიზში) გაიცნო აღ. ჰვაკვაძის შვილი დიმიტრი - თამარ დაკოთის ას. ჰვაკვაძე (1852-1933) და იქვე დაქორწინდა მასზე; ცოტა ხანში დაუბრუნდა თბილისს და აქ გარდაიცვალა ზანგეროვლის ავადმყოფობის შემდეგ.

ირაკლი ბატონიშვილი ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საჯეკლომქმედო საქმიანობას: მისი ინიციატივით მთაწმინდას და ავლაბარში ორი ქართული სკოლა გაიხსნა (1860-იანი წწ.), ეკუთვნოდა თბილისის გუბერნიდან ახანობის ნაწილი, რომლის შემოსავალსაც ძირითადად საჯეკლომქმედო საქმეებს ახმარდა.

ირაკლი ბატონიშვილის დაკრძალვა განდობილულ სამკლოვიარ მსგელოვანში გადაიხარდა (გამოსვენეს თბილისის სიონიდან და დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში). "ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა (უნდა იყოს: 55 წლისა - თ.ჯ.), დარჩა ორი პატარა ქალი და მამობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილის მოსო. სხვა ბატონიშვილები ერეკლეს გარდა არავინაც სცხობობს ამჟამად ტფილისში. ისინი მოსკოვსა და პეტერბურგში სახლობენ" - აღნიშნულია "დროებაში" (1882, N88) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში. სხვათა შორის, "დროებაშიცა" გამოქვეყნებული ერთი საკვლისხმო ცნობაც, რომელიც მეტყველებს, ერთი შვირი, თბილისელი საზოგადოების დაბალი ფენების პატრიარქისა და სივერდულნი ორკაცილისადაც, ამისთანავე, ამ ფენების მაღალ მოქალაქეობრივ თეთსუნებულებს: "როცა ამქვეშა შიტივს, რომ ბატონიშვილის უფურცელვალებს ქვეითი იმთხოვის ქალაქში კლდის ამზადებს, ამით საერთო სურვილი გამოაცხადეს, რომ ქელეს ჩვენ ჩვენის ხარჯით გაახლებითო და თუ ბატონიშვილის ამისთვის რამე ფული ჰქონდა დანიშნული, იმ ფულით სასწავლებელში იმის სახელით დარბობი ხაზობის შეილები გაიზარდინო" (ბატონის შვილის ერეკლე დასაფლავება, "დროება", 1882, N90).

ერეკლე არქიმანდრიტის (დიდათის) შესანიშნავი სიტყვა - "ირაკლი ბატონიშვილის გარდაცვლამაჟედ" იხ. "დროება", 1882, N91; ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ვასილ კარგალაშვილის საწვავა - წარმოთქმული სვეტიცხოვლის ტაძარში, ირაკლი ბატონიშვილის დაკრძალვაზე (ე. კარგალაშვილის არქ., საქ.N241, გვ.4).

ირაკლი ბატონიშვილი გარეგნულად მდიდრე ჰვავდა თავის სასიქადულო პაპას - ერეკლე II-ს (იხ. "დროება", 1882, N88) და ეროვნული დრისებაც გამახვლებული ჰქონდა - დემონსტრაციულად ატარებდა ჩიხა-ხალსებს, ხოლო ერთხელ ბორჯომის პარკში "დიდად ამავად თავაწეულ" დიდ მთავარს, ნიკოლოზ მიხეილის ძეს (რომანოვს) ზედაც არ შეხედა და ეს ამბავი მამივე



განზაურდა საზოგადოებაში (იხ. ი. უფროსი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ.98).

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ტატიშვილი თავის მემუარებში, რომელიც ინახება მისი შვილიშვილის გიორგი (ცვი) ტატიშვილის ოჯახში, აკეთებს წინამდებარე მორენტაჟს გამომოცემულ ამბავს. დაკავშირებულს ირაკლი ბატონიშვილის დაკრძალვასთან: "გარდაიცვალა 1882 წლის აპრილში ირაკლი ალექსანდრეს ძე, შვილიშვილი მეფე ირაკლი მეორისა. უფროსი კლასების მოწაფეთა ჩაგონებით, ვითხოვეთ დასაფლავების დღეს ქართველი მოწაფენი სწავლისგან გაეთავისუფლებინათ, რათა ბატონისციხეში გამოსთხოვებინათ უკანასკნელ ბატონიშვილს, რაზედაც გიმნაზიის ადმინისტრაციამ დიდი უარი გამოვიცხადა. მიუხედავად ამ უარისა, ქართველი მოწაფენი იყვნენ საიდუმლოდ დარაზმულნი და რომ ვაივს მიცვალებულს სირინიდან გამოვიყვანება და სასახლის (ფეხლისხმება "ნამესტნიკის" სასახლე, ამჟამად - მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე რუსთაველის პრისიპქტზე - თ.ჯ.) აქეთ უკვე გამოვიღებთ, ერთხმად ზოგი გადავანებე გადახტა და ზოგმაც კარებიდან გასვლა მოასწორა და შეერივნენ პროცესიანში და გაიყვნენ მოწაფენი ვერის დადმართის ჯერამდე (ამჟამად - შერაბ კოსტავის ქუჩა, გმირთა მოედანთან ახლოს, სად: დღეს აბრეშუმის ფაბრიკა დგას - თ.ჯ.). ბევრი მოწაფე, შეტარებულ უფროსი კლასიანი, თვალცრემლიანი მისდევდნენ უკანასკნელ სამოქმედო საგვარეულოს წევრს. ბევრმა უფროსკლასელმა მცხეთამდე გააკეთა და უმცროსკლასელები კი დავებარებენ პასიონში".

(7) ვასილ გიორგის ძე მანაბლე (გარდ. 1918) - თრისტი (ნაფიცი ვეკელი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მანაბლის უფროსი ძმა. დიხანს ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც დაამთავრა იქაური უნივერსიტეტის თურქოლოგიური ფაკულტეტი და იქვე - პეტერბურგშივე - 1873-1894 წწ. იყო საპეტროლის უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ (ნიკო) დადიან-მინერვლისკის (1847-1903) თურისკონსულტი; ახლო მეგობარს აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, თუმცა ილიასა და ივანე მანაბელს შორის ატეხილმა ცნობილმა კონფლიქტმა ვასილ მანაბლისა და ი. ჭავჭავაძის ურთიერთობაც გააფუჭა.

ვასილ მანაბელი გარდაიცვალა თბილისში, 1918 წლის 22 თებერვალს. დაკრძალულია ვერის წმ.ნიკოლოზის ეკლესიის ვაღანკმეს (იხ.სამგლოვიარო განცხადება "საქართველო", 1918, N42).

ვასილ მანაბელზე იხ.: ზ.ჭიჭინაძე, ვასილ გიორგის ძე მანაბლე, "საქართველო", 1918, N44; ვ. თაყაიშვილი, მორიგებანი ქართველ მწერლებზე, წიგნი: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ.1, თბ., 1991, გვ.391-393; ვასილ და გიორგი მანაბლები (პუბლიკაცია მოამზადა ს. ნუცუბიძემ), გაზ. "დრონი", 1992, N34; ვასილ მანაბლის სიტყვა - წარმოთქმული გაბრუნებულ იმერეთის ვასილ-ივანეს დაკრძალვაზე იხ. "კალი", 1896, N12, გვ.195; ი. ჭავჭავაძის წერილები ვ. მანაბლისადმი იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად), პ. ინგოროყვას რედაქტირებით, ტ. X, თბ., 1961, გვ.49-60.

(8) "საუკეთესო შვილებიდან" ერთ-ერთი იყო გიორგი ვასილის ძე მანაბელი (1885-1935) - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი და სახელგანთქმული საპარტიო-მე-

როი ფორმის დამაარსებელი. გარდაიცვალა ნიუ-იორკში და იკვეპა დაკრძალული.

გიორგი მანაბელზე იხ.: გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. III, თბ., 1993, გვ. 119-131; რ. გაბაშვილი, რაც მასსოსეს, წიგნი: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ.3, თბ., 1992, გვ.148-149, 157-164, 171-175, 192; ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაუთოო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ.53-56; ი. ჯანელიძე, საქართველოს შესახლა გერმანული მეფე ჰოლოდო, გაზ. "კავკასიონი", 1995, N95; ვინ იყო პირიცი მაჩაბელი?, პუბლიკაცია მოამზადა ლ. ცომაია, "ლიტერატურის მატანი", 1998, გვ.191-194.

(9) ნიკოლოზ ბარათაშვილის და დიმიტრი ყიფიანის ახლო მეგობრული ურთიერთობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. ეკრძოდ, დიმიტრის მეუღლის ნინო ჭიალაშვილის (1827-1902) თქმით: "ნიკო ბარათაშვილი დიდი მეგობარი იყო დიმიტრისა და დიდიდან საღამომდე ჩვენიან რჩებოდა: აქ სადილობდა, აქ ვახშობდა, ეგაა მხოლოდ, დაშეს არ ათევა ჩვენსას" (ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები, ს. ფირცხალავას რედაქციით, ტფ., 1922, გვ.244). ამას გარდა, ნ. ბარათაშვილი დამუშუდებული წვერი იყო დ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1842 წელს დაარსებულ "ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა" (ამ საკითხზე იხ. ჩვენი ბროშურა: "ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა", თბ., 1997, გვ.13-14). დ. ყიფიანის მეტად საინტერესო მოკონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე, სადაც დიმიტრისა და ჩვენი დიდი პოეტის მეგობრულ ურთიერთობაზეცაა საუბარი, იხ. ვ. ლუნიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო, "ლიტერატურის მატანი", N1-2, 1940, გვ.406-411.

(10) დიმიტრი ყიფიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ნიჭზე მაღალი აზრისა რომ იყო, ეს შემდეგი გარემოებებითაც დასტურდება:

ა) დ. ყიფიანს მის მიერვე შედგენილ ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში 1847 წელს შეტანილი აქვს ნ. ბარათაშვილის "ბედი ქართლისა" (H-1430, ფურც.24-28).

ბ) დ. ყიფიანი თავის ნაშრომში "Несколько мыслей о материалах для историй Грузии" (Тფ., 1854, გვ.27) ნ. ბარათაშვილის ასახელებს წარსული და მისი თანამედროვე ქართველი მწერლობის უფავასანიძის წარმომადგენელთა (რუსთველი, ჩახრუხაძე, ბუციკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვ.) შორის.

გ) თავის "მემუარებში" (თბ., 1990, გვ.122) დიმიტრი ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებს "ქართველ დიდებულ პოეტს".

(11) სტაერპოლოში გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი მოკლეს 1887 წლის 24-25 ოქტომბრის დაშეს (ცრცელი მასალა დ. ყიფიანის გადასახლებისა და მისი მკვლელობის მიზეზებისა და შედეგებზე იხ. ჩვენი მიერ შედგენილი წიგნი: საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, I, თბ., 1997).



ნიკოლოზ



თავი უსააკა

ვენერა და პოტიჩელი

სადმონს ქარი ამოიჭრა, მოყარა ღრუბელი და მალე კოცისიპრულმა წვიმამაც დაუშვა. ვერ იტყვის კაცი, პრესტიჟულ უბანში პრესტიჟულად წვიმა და არაპრესტიჟულში - არაპრესტიჟულად.

ორივეგან ერთნაირად უოქაფუნებდა. ერთნაირად რეცხავდა თქმა ბეჭი ელიტარული რესტორის, იქით კი მამა-პაპური სახინკლის მინებს. ერთნაირად უშხაუნებდა სასურავებს, რაფებს, კიბეებს, ასფალტს... ერთნაირად ლუმპავდა ჭადრებსა და ბზის ბუჩქებს.

პრესტიჟულ უბანში სოლიდური მამაკაცი სოლიდურ სავარძელში ჩამოუვლიო და ამ უეცარ, ნაჩქარევ თქმულზე ფიქრობდა. ფიქრობდა და საგანებო სესიას ამსვავსებდა. ქარის დაბერვა... ღრუბლებს უცებ შერკა... თქმა... კენჭისყრა... კონსტიტუცია... მუხლები...

ახლა სხვა მუხლებზე წამოვიყვრა. წაცურდა ოცნებებში ბრახით... ბატერფლაი... ბაყაყური. მერე სულაც, ძალიან ღრმად ჩაყვით... ჩაიბინა...

ტელეფონის სატრფოს ხელივით ნახად დასწვდა და პრესტიჟულ უბნიდან არაპრესტიჟულში ზარმა გაიწკრიალა.

- ალო!
- ირმა... მე ვარ, სიცოცხლე...
- დაახ. კი.
- წვიმს მანდაც?
- კი... დაახ.
- არ მოგემატრე? არ შევხვედი?
- რატო ჩურჩულეები?
- კარგი, კარგი პაატა. შევეხმანები ცოტა ხანში. სასახლა, ძმაო. წვიმა კოცისპირულად. პირდაპირ და მაკიბი-მოკიბის გარეშე. ცოტა ხანში:
- ალო. ირმა, მე ვარ ისევ...
- რას ამბობდი, რა პაატაო?
- რა ბავშვი ხარ, ვეიფედი! ჩემი ცოლი შემოვიდა.
- აა. მერე რა?
- კმ. მერე რა... შენი ნახვა მინდა, ირმუშვი. ვინდა რესტორანში დეკატიცი?

- რესტორანში?
- პო. იცი, ამ წვიმაში რა კარგი იქნება?
- რა ვიცი.
- წაიდე!
- რა ვიცი. ნამცხვარს ვაცხობ ეხლა და...
- მაგ ნამცხვრების ცხობა-გაყვდა შენი საჭმე არაა, ჩემო სიცოცხლე.

- აბა?
- აბა და კარვ რესტორანში უნდა იყდე და იქით უნდა უკეთავდე ნაირ-ნაირ ნამცხვარს. გამოპრანჭული. ფეხი-ფეხზე შემოდებული. ფეხი გაკლია, თუ...
- ხელი! გაგლახავ იცოდე!
- რაო?
- ჩემ მძას ვეუბნები... თქვენ არა. კარუმ ჭამდა და...

- თქვენობით რატომ მელაპარაკები, ირმა, გულს მტკენ... დიოკოვ გვაუს, პატარა, ხო?
- კი, თორა.
- მოკლედ, ჩაიცი ახლა და ნახევარ საათში მანდ ვარ.

- ვერ დატოვებ... ნამცხვარს?
- ბავშვებს. ნამცხვარს კი მოყვრები უკვე...
- მშმ... დაუტოვე ვინმეს... მე ხობელს...
- არ დარჩებიან ესენი სხვისთან. ჩემზე არიან მოწაბებული.
- მაგას არც მე დავიწუნებ და...

- გვემ, იცოდე, შაკი! მაცადე ლაპარაკი! მოშორდი მაგას!
- ალო!
- ალო. დაახ.
- მოკლედ, უთხარი შაკოს, წავედ ახლა და მაგარ კომპიუტერს მოგიტან-თქო...
- არ უყვარს ამას მაგი...
- არა? შერც, რაც უყვარს, იმას დაპირდი. ორივეს. ბიჭსაც და გოგოსაც.
- მართლა?
- აბა?! რა უყვართ, მითხარი...
- ეთუნას უყვარს...
- პო. თქვი, რე გურილებს.
- თბილი პალტო...
- ჰოდა, შეკვიარო და... შაკოს რა უყვარს?
- შაკოს... თბილი ბათინკი...
- თქვი, მერე ჩემო სიცოცხლე! შენ თქვი და! ჩემი ტყველი კაცს არ უნახავს ვერ! მე რომ კაცს დავიბრუნებ... მით უფრო, - ქალს...
- წვიმა. უტურად, ავალმართლად და ვეიფედი... მით უფრო, - ქალს... სწორედ ამ დროს არაპრესტიჟულად უბნის ერთი სახინკლიდან ახალგაზრდა გამოვიდა. პილბლმონჭილი ხინკლით რისკიანად დანარებული, შესურბული და ვეიფედიცარიული. მერე რა! აგ-ერ, მიხი მიხისხვერი, 80-იანი წლების "ფრული", ზედ ტაქსის ნიშნით. წავა. გაუყვდა ნელ-ნელა გალმუშულ ქუჩებს. ტაქსია რა! ჩაგ-დედა ვინმე. ძმაო, ერთი იქით წამიფეცა... და განჩნდა ორი კაბიკი! იქნება რა, რაზე იქნება!
- წამოიწია ქუროთკის საყვლო, მიიბრინა მანქანასთან, ჩავედა და გაუყვდა დანიატურებო ასფალტს.
- ო, რას წვიმდა!

პრესტიჟულ უბანში სოლიდური მამაკაცი ცოლს სოლიდურად დაეიხუვა, პაატას ვითომგამოსიბით და არაპრესტიჟულსკენ გაასრიალა ვერცხლისხვერი "შერსედესი". იქით, საღაც გოგომ წინაფარი ლურმსამს მიაკიდა, გადააცვა რაც უკეთესი ეხავა, აიკრა თმა და ფანჯარასთან დღედა.

- მართლა მომიტან თბილ პალტოს?
- მართლა, პო.
- მეც? მართლა მომიტან ბატინკებს?
- პო. პო. ესე თქვა და...
- ვინ?
- ვინც. არაა შენი საჭმე.
- კამფეტო უთხარი.
- და ბარბი!
- ცოლად მოვიყვან... - ეკითხება შაკო.
- ხო, აბა?! კარი არავის გაუღო.
- აუ, რა ზედნიერი ხაარი! - ლოყას ხელისგულზე ჩამოდებს ბიჭი.
- რატო, ვითომ?
- მანქანით რო იკატავებ...
- წვიმა...
- წვიმდა...
- სიგნალის შემპარაკი ხმა გაისმა. გოგო კიბეზე ჩარბოდა. თან რაღაც არ სამიწუნებდა. ეუცხველებად რაღაც.
- კამფეტო უთხარი!
- ხო, კარგი, კარგი. ჩაკეტე კარი.
- და ბარბი!



- ნამცხვარი არ შევკაში! ჩასაბარებელია დღით...
 - არ შევკაში...
 წვიმს.
 წვიმს.
 მინდისფერი ტაქსი ელიტარულ რესტორანთან შეჩერდა. რა იცი, რა ხდება ასეთ თვეში... ვინ სად მიდის... ვის რა უნდა, მდიდარი ხალხია. ფული არ ენანება.
 ცხელი სახინკლის საიშვს ჯერ არ გაველი. აღარ ციოდა. ახლა რამე ლამაზ თავდასავალზე ოცნებაც შეიძლება...
 გვერდით ვერცხლისფერი მერსედესი შემოუჩინა. წვიმით ჩამონარეცხ მინებს იქით გოგო დაინახა. იქით - ფრიალ სოლიდური მამაკაცი. საუბრობენ. "ნეტა რაზე?... პრინციპში, რა ჩემი საქმეა..."
 წვიმდა.
 წვიმდა.

ვერცხლისფერ მერსედესში:
 - ამ რესტორანში მივდივარ? - გოგო ონდავ აბუზული, ონდავ შემინებული გასცქერის აბრკვევალეზულ მინებს.
 - არა, აქ არა. აქ ეხლა, მე უნდა ავიდე ცოტა ხნით. ალიბისათვის.
 - რისთვის?
 - ალი-ბისთვის. აქ ეხლა პაატა ქვიფობს. ჩემი ძმაცაიცი. აველ ცოტა ხნით. გამიგებ? გამიგებ ნიციუსზე? ალიბი იცი რა არის? არ იცი. შენ იცი ის... ნაპალინი... ჩიტის რბე...
 - მალე მოხვალთ?.. მოხვალ?
 - სულ მალე. რამე ორი იფოს, პაატა იტყვის, ჩემთან იყო, რა!
 - მეუ რა?
 - მოკლდე, აი შენ, მაგნიტრომის ჩაგირთავ. აბა, შენ ფრანსლევდი... გამოვალ და წავალთ. ამაზე უკეთეს რესტორანში.
 - პალტო და ბათ... - წამოცდა გოგოს, გაწითლდა.
 - რაზე ლაპარაკი? ცველაფერი იქნება...
 წვიმდა...
 წვიმდა...

ორცხავე ტყეებს და მართალს...
 ხინკლის საიშვ ნელ-ნელა ქრებოდა. არც ლამაზი თავდასავალი ჩანდა.
 ტაქსისტო, - იგივე სანდრო, - იგივე ერთ დროს მსატყვარი, - საზურგეს გადააწვა და სივარეუტი გააბოლა.
 წინ რესტორანი ბრკვევალეზა, როგორც ხომლიდ ღამულ ზღვაში.
 - "თითქის მიცურავს" - გაიფიქრა...
 ამ დროს მანქანის კარის რბილი ჯახუნე მოესმა. მოიხედა. ვერცხლისფერი "მერსედესში" გოგო მარტო დარჩა. კაცი რესტორანში შევიდა. სოლიდურად.
 გოგოს ლამაზი პროფილი და აკვეცილი ბულუღა თმა აკვარელის ადარებელი ხილი ნახატებით მოჩანდა წვიმიან მინებს იქით.
 წვიმდა.

იქ, განახიზნებულ რესტორანში კი:
 - ვაჰა, ვინც მოსულა, გაუმარტოს! ვერ მოვალო, და...
 - მე და, ჩემს პაატასთან ვერ მივიდე?!
 - ავაშენა ღმერთმა! ბატონებო, ბატონი მალხაზი შემოგვიერთო და...
 - ცოტა ხნით, პაატას ვენაცავლე... ცოტა ხნით, სამწუხაროდ გადუღებელი საქმე მაქვს. შელოდებთან.
 ევკეთებში გამოცდილი პაატა დაბალ ხმაზე ეუბნება:
 - ვინ გელოდებდა, შე გთოვერანო...
 - ერთია...
 - რატო მეზე? ორი ყოფილიყო შე კაცო. გეფიქრა, ძმარ ძმაცაიცი. გეგეკეთებთან პრეზენტ! კარგი, დაჯე, დაჯე, მოიცდის ვილაყა. აბა, ბატონეო... და ა.შ.
 წვიმდა...

"ერთი საათი მაინც იქნება, რაც მარტო ზის ეს ტუკი..." - ფიქრობდა მსატყვარი ტაქსისტო მშ-იანი წვიმის "ფოკუსში".
 "ცოდაო ეს კაცი გოგო. ძანაც აზრზე ვარ ეხლა, მანდ რა პონტიცაა...
 "პრინციპში, რა ჩემი საქმეა, ტო..."
 "ამ! როგორ ზის?... გამოშვცვეული ჩიტებით".

"ვეე. გაფრინდი, ჩიტო, სანამ ლამაზი ხარ. შენ ამითი გაციოს არა ხარ".
 "რას ვაზრებ, ეხლა. პრინციპში, მე რა! იცის რაა ბიბამ, რა და როგორ..."
 "აუ, რას წვიმს?"
 "ისე, ბიბამ კი იცის თავისი საქმე, მაგრამ ამან?! ნახე, ნახე, როგორ ზის... ნეტა რა ფიქრები მოუღის ეხლა ამ ჩურჩულთა თაგში?"
 "ჯერ, ეტყობა, არაფერია... არაფერი არა აქვთ ვერ, რამე ორი იფოს, გამაზნანადა უკვე. ჯერ ვერ უფიდა ბიბამ..."
 "აუ, დახუთა, რაღაც..."
 მინა ჩამოსწია. ერთმანე მინაში უკეთ დაინახა გოგო. მერსედესში მორჩილად, უთავმოვარებოდ მომლოდინე.

"შაკვილია!... ეხლა ადგები და... გაველიები, როცა მოიხვლავს..."
 და გაუღმა. გოგო დაინახა და იქით მიიხედა.
 "აჰ! შეჩერეს!... ისე გეგოვებდა კარგი გქონია, ბიბამეო. ბოტიჩელოს ვერნერა გინდა დათორი? ბოტიჩელოს ვერნერა გინდა იყოლო, გვიგარო? მაგრამ, ეგ რა შეუფასებელია, ჩემი ძმა? რო არ იყიდავს..."
 საიდანაც, ცელიფანფარებული დედაკაცი განიდა.
 - დამეხმარე, შეელო...
 რას დეხმარებოდა. ხაზინკლემი ამოიტრიალა ვიბე.
 დედაკაცი ახლა მერსედესს მიადგა. მიუკაცუნა.
 - დამეხმარე, გენაცავლე...
 გოგომ რის ვაივაგასხით მიადგო და მინა ჩამოსწია. დედაკაცს ხელისგულზე ხურდა დაულო. ისიც ბურტყუნ-ბურტყუნით წაფრატუნდა.

ახლა მხოლოდ წვიმილა ედგათ შუაში. ორივე მინა ჩამოწეული იყო.
 ადგა და, ისევე გაუღმა გოგოს.
 - შე თქვენი არ გიცნობთ... - მოესმა წვიმის იქიდან.
 - იმას ხო იცნობ, იმას... - თავი რესტორანისკენ აუქნა ვაჟმა.
 "უნდა მოეტეხო აქედან. უნდა მოეტეხო... ვერნერა - ბოტიჩელოს. მერსედესი - ბიბის. მაგის..."
 გოგო ამდენი ლინდინსკან საკამოდ დიდლილი ჩანდა.
 - ტაქსი ხომ არ გჭირდება? - გასამხა ვაჟმა მინდისფერი "ფოკუსი" დაიწყო.
 - შე?! - გაუვირდა გოგოს.
 - შენ, შენ! შენ გჭირდება, თუ გჭირდება! სახლში წასვლა არ გინდა?


- სახლში?! - გოგოს სახე გამოცოცხლდა. ამ თამაშის ენა თითქოს, უცებ გაივო.
 - მინა! მინა სახლში!
 - მეზე? ავგო, ბატონო, ტაქსი!
 "უნდა მოეტეხო აქედან. უნდა მოეტეხო... ვერ არაა, ბიბამეო, ვერნერაზე ვერ დათავიო... სივარელის ქალღმერთია ეგ... ბოზობის და ახვრობის კი არა..."
 გოგო აწრიალდა. აფორიაქდა. გასაფრანდ მზად იყო.
 მინ! თავის სუფთა, მყუდრო ბუღისკენ... მაგრამ ონდავ ფეხს თორედა.

"მანქანის ფიქრი აქვს" - მიხედა ვაჟი.
 - გაძლიდი და ევრე დატოვე! მიხედავენ, შენ ნუ გეშინია.
 - მართლა?
 - მართლა, მართლა! პა, დროზე ეხლა! მოხიე მანდედან!
 და გოგოც "მოხია". გადმოფრთხილდა ვერცხლისფრად მოვლევარე გალიიდან და...
 რამდენიმე წამში მინდარედ ქვეულ ქუჩაზე მიშრიალიდნენ...
 - შენ... თქვენ...
 - მე ვარ სანდრო ბოტიჩელო.
 - ბოტ... ვინ?
 - ვაჟს ვაეცინა.
 - არა, სანდრო კი ვარ, მაგრამ ბოტიჩელო არა, რათქმუნდა, შენ რა ცველაფერი ვეგვრა, ტო...
 - რატო...
 - შენი სახელი შეგიძლია არ მითხრა. ისედაც ვიცი. ვერნერა გქვია.
 - ვერნერა?! არა. ვერნერა დედაჩემს ერქვა... მე ირმა მქვია...

- ირმა არა, ის... ვერნერა ხარ შენ, გაივ? ვერნერა...
 წვიმა...
 წვიმა...
 - აქ გააჩერე, - თქვა გოგომ.
 მანქანის გაჩერების ხმაზე ფანჯარას ბუშუბები მოაწვდნენ.
 - ეგე, ჩემი და და მძა!.. მე მგლოვდებიან.
 - გინდა, მანქანით ვაგრილოთ?
 - მართ... მართლა?!
 - მართლა, პო... ადი, ჩამოიყვანე ბენზინი ბლომად მისხა...
 გოგო კიბეზე აბრბდა. ფრთამუსხმული.
 "არ მინდა იმისი არაფერი...
 არც პალტო... არც ბათინკი..."
 წვიმა და არცერთი წვეთი არ ერია ტყეული.
 ნაღდად წვიმა... ძალიან ნამდვილად...

2001 წ.

აქ



XX საუკუნის მიწურულს და XXI-ის დამდეგს სერიოზულმა ფორიაქმა აძიტანა.
 მეგონა, რომ ვერასდროს მოვახერხებ ათას ცხრას რაღაცის მაგვირად ორიათის რაღაცის თქმას... მეგონა, რომ ვერც მივაწვდებ იქამდე, იმტომ, რომ შეუძლებელია, შეუძლებელია ჩემი ერთი, პატარა სიცოცხლე ორ საუკუნეზე გადანაწილდეს... მეგონა, რომ ყველა და ყველგვარი შეიკვლება. სხვანაირად ამოვა სხვანაირი მზე, სხვანაირად ისეშემებს სხვანაირი წვიმა... მეგონა, რომ, მოკლედ, რაღა არ მეგონა...
 ჩემს ამ ფორიაქს ხელი იმან შეუწყო, რომ XX ს-ის მიწურულს და XXI-ის დამდეგს ძალზედ მარტო დავჩინე. უმეობროდ, ჩვენი "სადაქლო" სერიოზულად დაიშალა. ერთი - შტატებში გათხოვდა. მეორე - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მესამე - ხარავულში და მთითუც კი - მონაზუნად აღიკვეცა დღითა მონასტერში.
 მე თბილისს ვერ მოეშორდი. ვერ მოეშორდი ისეთს, როგორც იყო... უღრესს, უწყლოს, უსამართლოს და ზოგჯერ უხინდისოს... მაგრამ მაინც თბილისს. ერთხელ და სამუდამოდ გამეშობოდა იდეა, რომ სხვაგან არასაა ჭაღარა მთაწმინდა... რომ არაა სხვაგან ახალი ვარსი... და... კაცმა რომ თქვას, არცაა, არა?
 გული არასათი მიმოწვედა. მითუმეტეს, - სამუდამოდ გადასახვეწად...
 ჩვენი "სადაქლოდან" სამი უკვე აქეთ-იქით გაფანტულიყო. მეოთხე რომ სამხრეთ აფრიკაში წასახველავდა ჩემოდანს ალაგებდა, ჩვენს შორის ასეთი საუბარი წარიმართა:
 - ესე იგი, მიდიხარ!
 - აბა, აქ რას ველოდი? გოგონის გვემას? თუ რას!
 - წაიდა, ბატონო, წაიდა! მიბრძანდი!

- დარჩი, სიცოცხლე. დარჩი აქ! განხი! გაატარე ცხოვრება გუკვილი ლოფტში!
 - ზანგს რა მივაყოლებს, ქალი, რა?!
 - მივარს, ვა?
 - ეგ შაი კაცი გიყვარს და ეს... აქ... ყველაფერი...
 - წუ, რა გველოფერი?! ნათესი ღამაა?! თუ ცრუპტრელა არჩენები?! თუ რა?! დახეული კალგოტა! ცარიელი მაგივარი! ქალი ვარ, გაივ? ახალგაზრდა ქალი! ესლა მინდა ყველაფერი!
 - შენ არ იცი, იქ... როგორ ცხელა!
 შენ... ვერ ხვდები ეგ რას ნიშნავს - ვერადან - სამხრეთ აფრიკაში!.. ელემენტარულად, - ვერ გაუხვლებ!
 - კერასინკასთან მუხტებს ხომ უძლებს, რაა...
 - ეგ სულ ასე არ იქნება, დამიჯერე...
 - ახლა შენ დავიჯერო! ახლა შენ დამიბრდი კიდევ...
 - ასე არ იქნება სულ.
 - იცი რაა? თავს უშველე, დაო. წაიდი, მოხიე აქედან. ქალი ხარ - სუპერი. შენს ადგილას, პოლიუელში გაეთითობოდი, შტერუცა!
 - გველებს რომ გეშინა? იქ, ხო იცო... ყველა მოსახვედია... აი... ესე... აი, სხსს... სხს...
 - კარგი რაა... აქ რო გველებია...
 გინდა, ეს ვინისი გარკუქ? ამა! შენი იფისს.
 - რამე რო იფის და, ვერ გაილო... დაბრუნდები?
 - ააქ?!?
 - კარგი, პა. თვალები არ გადმოგცივებდეს. ისე, იცოდე, მე აქ ვარ. რამე თუ გავიჭირდება...
 - გაიძე, ჩემო ში-ჩი-ჩხლევე! ულვაშის დერი გამატანე! არა, თბის, თბის...
 - წავედი, წავედი... ხვალ გავაცილებ...
 ჩემოდანში ცხვირნარგული ხარხარებს.
 კიბეზე ჩამავალს მისი ორმეტრანი ზანგი მხედვდა. ეხლა, ეს რო ავა, ერთად იცინებენ. გადმოიყრის ეს შაი კაცი თეთრი კბილები. მოხეხს პირს ყურებამდე. ახარხარდება ზანგურად...
 და ესე გაატარებენ სიცოცხლეს...
 საოცარმა სკედამ შემბარო. ვარსხს ხეხს ფეხით ჩამოუვდევო. გააფხვული, ჩვენი მთავარიოსავან განსხვავებით, ენერგოულად ატარებდა თავის რეფორმებს...
 მიწიდან ძლეკამოსილად მოიწვედა თოთო სიმწვანე. ხეხის დაბერილი კვირტები ასკვებოდა და ზედ ფერქვედა ფოთლად თუ ცვა-ცოვავდა.
 მანქანების მტვრინა გუგუნში კი რაკაკა ლელესათით მიიკვლევდა გზას ფრინველთა გალობა და ჭოჭოკია...
 ზოლარკში შევუხვე. ჩაუვარე გალოებიდან ნაღვილიანდ მზირალ მხეცებს და ლიმის გალისი წინ, რკინის ზღუდეზე ჩამოვდექი. ეს ჩემი ლობია. "ლეო". ხმირად ვარ აქ.
 ინგვლოვ არავინ ჭკანებდა.
 ლეო თავის საცერკლ მეფერ ზოზმა იფდა, წინა თათებზე წამორეზინბობი და ოდნავ თამბორუბული შემომიკეცრიდა.
 - იცი, სულ მარტო ვერცხი, ლეო - ვთხოვარ მე.
 მის თვალებში ჩაგებულად მეფერი სეფდა და ტუსალური მორჩილება თან მთლიან სიცარიელედ ძქველყოფი. მიფერებდა სეფინის ისეგამლობით.
 - ყველა სადაცე მიდის, ლეო.
 გასოსებს, შენ რომ დავხატა? ისიც მიდის ხვალ. სხვათაშორის, აფრიკაში... სამხრეთში.
ალფაიტი მოკლავს ბატს. მოხდა თუ არა ეს?**

- ტაძარმა ზოგიერთი თავისი ფუნქცია დაკარგა, რე-
მელთაგან ბევრი ტელევიზიას გადაეცა, მაგრამ მან ხომ
ახალი ფუნქციებიც მიიღო. ათასჯერ მაინც დავეწერე იმ-
ის შესახებ, რომ ფოტოგრაფიამ ფერწერის მთავარი ფუნ-
ქცია აიღო თავის თავზე; ადამიანური ხატების აღბეჭ-
დვა. მაგრამ მან ამით ფერწერა როდელ მოკლა, სულაც

არა. მან გაათავისუფლა იგი, რისკზე წასვლის საშუალებე-
ბა მისცა. თანაც, მხატვრებს დღესაც შეუძლიათ პორტ-
რეტის ხატვა, მათ ეს არ ეკრძალებათ.

**- იქნებ ასეთი დასკვნები ჩვენი იმპულსური რე-
აქცია ტექნოლოგიის ყოველ ახალ ზიგზაგზე?**



- ეს ცუდი თვისებაა, რომელსაც კაცობრიობა ალბათ
ვერსადრის შეეღწევა. იგი ძალიან ჰგავს ძველ კლემსს,
რომელიც აღიარებს, რომ ყოველი საუკუნის ბოლოს დე-
კადანსი უნდა იყოს, ან აღორძინება ანდა მოჰყვებს ყო-
ველი ახალი საუკუნის დასაწყისს. ეს ისტორიის ორგანი-
ზაციის ერთ-ერთი ხერხია, რათა მან ესა თუ ის დოგმა
დააქვეყნოლოს.

- **მაგრამ დროის ბელოვნურმა დაყოფამ თავისი
ეფექტი, შესაძლოა კოლექტიურ ცნობიერებაზეც მო-
ახდინოს. თქვენ დასასრულის შიშს სწავლობდით,
რომელმაც მასობრივი მასშტაბი X საუკუნეში მიი-
ღო. იქნებ ახლა სწორედ ახალ, დიაგნოსტიკურ ათას-
წლეულთან დაკავშირებულმა ანდამა უდავლო
რწმუნებ შეგვიპყრო?**

- საუკუნეები და ათასწლეულები შემთხვევით სავა-
დინო არიან; არაა აუცილებელი მედიევისტი იყო, რათა
ამაში დარწმუნდე. მაგრამ სინამდვილეში დაცემის ან აღ-
ორძინების სინდრომები, როგორც წესი, სიმპოზიუმის
დროითი სამანების გარშემო ჩნდება ხოლმე. XIX საუკუ-
ნის ბოლოს ავსტრო-უნგრეთი იმპერიის დაიხის სინდრო-
მით იყო შემეკრობილი; არსებობს თვალსაზრისი იმის შე-
სახებზე, რომ სწორედ ამან განაპირობა მისი დასასრუ-
ლი 1918 წელს. მაგრამ სინამდვილეში ან სინდრომ არა-
ფერტი ჰქონდა საერთო fin de siecle-სთან; ავსტრია-უნ-
გრეთი იმიტომ დაიშალა, რომ იმპერატორი აღარ იყო ავ-
სტრიოტიტი თავისი ტყვეწერდომებისთვის. ამიტომ ერთმა-
ნეთისგან უნდა გვეარჩიოთ მასობრივი ილუზიები და
ფუნდამენტური მიზეზები.

- **დროში მოგზაურობის საშუალება რომ გქონ-
დეთ, ისტორიის წარსულში გაეჭვებოდათ იდით თუ
მომავალში? და რამდენი წლით?**

- თქვენ რომ ეს კითხვა ვინმე სხვისთვის დაგესვთ,
ვისგან ისუერვებდით პასუხის მიღებას? თუკი სერიოზუ-
ლად, გეტყვით, რომ წარსულში უკვე ვიმოგზაურე - ნუ-
თუ არ ნაევიკთხავთ ჩემი რომანები? და მომავალს რაც
შეეება - ნუთუ არ ნაევიკთხეთ ეს ინტერვიუ?



ჩვენს მოსახლეობას

გვიხსნის თუ არა ინტერნეტი?

შენიშვნები თანამედროვე იტალიური ლიტერატურის შესახებ

თუკი ამ დღეებში იტალიური ნიგნის მაღაზიაში შესვალთ, პირველი, რაც დაგებრთუბთ, ის იქნება, რომ გაგონდებით. გაგონებთ ნიგნის ის მოვლარე მასა, რომელიც თვენს თვალწინ გადაიშლება და მკითხველს - თითქოს ბორჩხის ნივრულს, უსასრულო ბიბლიოთეკაში მოხვდა - შიში დაუფუფლება და ერთ რამზე დაფიქრდება: მთელი ცხოვრება მარტო კითხვაში რომ გაატარო, მაინც ვერ მოგვერევი ადენ ნიგნს. მწერალს კი დეპრესია შეიპყრობს, როცა დაინახავს, როგორ იკარგება მისი ნიგნი უდაბნოს ქვიშაქვე.

საიდან ამდენი ნიგნი? ამას რამდენიმე ნაირად ხსნიან. ერთ-ერთი ახსნა კი შემდეგნაირად შეგვიხატავს: გთავაზობს ჩემს სიდიდეს ერთ ჩვეულებას მჭირდება, ყოველ შობას პალატუსს მწუქნიდა, დროთა განმავლობაში კი - რადგანაც არასდროს შეუშინებია ჩემს კისერზე არც ერთი ეს პალატუსი - იგი ორ-ორის ჩუქებაზე გადავიდა, ანუ ამგვარად, ჩემი გემოვნების გამოცნობის აღბათობას აორმაგებდა. ასევე იქცევიან გამოცემული: შემთხვევითი ან ახირებული მკითხველის მოსახიფად, ისინი აუარება ნიგნებს ბექდავენ: თუკი ცნობილი ჯალათის მოგონებები არ დაგაინტერესებთ, ბრიჯის სახელმძღვანელო მაინც მოგვერთებათ, თუკი დინოზავრები აღბოძი არ გაინტერესებთ, ძველი მესაფის აღსარება მაინც არ დაგეტოვებთ გულგრილს და ა.შ. სხვა ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ნიგნის რაოდენობის ზრდას - ავტორების პატივმოყვარეობაა; ისინი პრაქტიკულად თავად აფინანსებენ საკუთარ ნიგნებს (უცვარი ნარმატივის იმედით). ასევე სხვადასხვა სახის სუბსიდია, რომელსაც გამოცემულები ხან კრძოთ სპონსორებისგან ითხოვენ ხოლმე, ხან სახელმწიფოსგან, ხანაც უცხო ქვეყნიდან ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციისგან.

ერთი დისტრიბუტორი მიყვებოდა, რომ მის ფირმას ყოველ კვირა ნიგნის მაღაზიებში 500-ზე მეტი უბალი ნიგნი მიჰქონდა. პრაქტიკულად, ამ ნიგნების ახალი ნაწილი შეუშინებელი რჩება და მას შემდეგი პარტიკულიც... ჩემი ერთი ნაცნობი, მწერალი ქალი გამომიტყდა, რომ მისი გამოცემული, მონადღარი - იტალიის უმსხვილესი გამოცემლობა - იტალიას მხოლოდ იმ ნიგნებს უკეთეს, რომელთა 90.000 გუნგმაღარულ მეტის გაყიდვაც ეიმედება სხვებმა, დაე თავად გაიკაფონ გზა: თუკი ოქროა, მალე შეამჩნევენ მის ბრწყინვალეობას... თუცა, უდიდესი გამოცემლობების ნიგნი მხოლოდ ნაწილია ბუნების და მასთან დაკავშირებული დანაკარგები, როგორც წესი, სხვა სექტორებში გამოქაჩება ხოლმე, მაგალითად, მულტი-მედიალურში (ამოქვეყნება, ვიდეო, თანამედროვე და ა.შ.).

თუკი თქვენ აქამდე პარიზში, მადრიდში ან ბერლინში იყავით, მეორე შთაბეჭდილება, რომელიც იტალიური ნიგნების მაღაზიის ხილვისას გაგიჩნდებათ, იქნება "დედა ვიუ": ნიგნების უდიდესი ნაწილი იგივეა, იგივე ავტორები, ყველაზე ერთნაირია, უკეთესად გაყიდვადი ნიგნების პატრონობები კი ემთხვევა ერთმანეთს (თითქმის 60%-ით). ჩემი აზრით, ეს ცხოვრებისა და მსოფლიო კულტურის გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა ნიშნეა.

თანამედროვე იტალიური ლიტერატურის პანორამის მოხაზვისას, "საყოველთაო" ავტორებით უნდა დავიწყოთ; ისინი უსოფარი დროიდან წერენ და რადგანაც იტალი-



იტალიური ლიტერატურის პანორამის მოხაზვისას

ამი მწერალი არასდროს გადის პენსიაზე, ისინი დღემდე ახალ-ახალი ნიგნებით ამარაგებენ ხალხს. ყოველ წელს (ან ორ წელიწადში ერთხელ) ისინი საუკუნის ლიტერატურული შედეგის შექმნას ესწრაფვიან (თუკი მუდამ მომავლისთვის ინახავენ ამ შესაძლებლობას) და გამოსცემენ "გამოტანჯულ, განცდილ, ღრმა" ნიგნს, რომელიც ავტორის "ზინიფიუზი" შეტყვევებს, რათა მან სულ მალე სწორედ ეს სანატრული შეცვლით შექმნას...

ცხადია, რომ ასეთ ნიგნს რომელიღაც ლიტერატურულ პრემიას წარადგინენ, ან ფილმს გადაიღებენ მის მიხედვით... ლიტერატურულ პრემიებს კი იტალიაში თვლა არა აქვს: შეიძლება ითქვას, რომ ყოველ სოფელში, ყველაზე მივარდნილ, მთებში ჩაკარგულ სოფელშიც კი გაცივება ასეთი ჯილდოები. ეს ერთგვარი რეკლამაცაა, თანაც გაცილებით იაფი, ვიდრე საესტრადო ფესტივალი ან ბოქს შედეგები (სხვათა შორის, ესანეთიც ხდება ესეთი რაღაცეები, მაგალითად, ერთმა კორდოველმა ელექტრიკოსმა, ვინმე მანუელ ტერინმა სახელი იმით გაითქვა, რომ ათასზე მეტი ლიტერატურული პრემია მიიღო, თანაც ისე, რომ არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ და არც ნანარმოები ნაკეთობა ვინმეს). იტალიელები, თავის შირიც, მნიშვნელოვან ლიტერატურულ კონკურსებს საორტულ შეჯიბრებდა აღიქვამენ: ისევე როგორც საყვარელ საფეხურთი გუნდს, ან თვიათბ ველისიპეისტს, ისინი საყვარელ მწერალსაც გულშემატკივრობენ, რომელიც სხვებთან პაექრობაშია ჩაბმული (კარგი იქნებოდა ერთგვარი ახალი, იატაკქვეშა ტოტალიზატორი შეგვექმნა ფსონებით, წინასწარ რომ არ ვიცოდეთ ერთი მძი, კერძოდ ეს ის, რომ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვება წინასწარა შეთანხმებული და პრემიები ქვეყნის უდიდეს გამოცემლობებს აქვს დანაინიფიცილი გაყიდვის მიხედვით).

უხერხულია ასეთი შხამიანი იარღილების მიკერება რეალურად არსებულ ავტორებზე. მაგრამ ვითარება გვაძიულებს და პირველი, ვინც უნდა წარმოგვიდგინოს, ალბერტო ბევილაკვა (დ.1934). შესაძლოა შური - რომელიც მის მიერ დაწერილი აუარება ნიგნისა და მათ მიხედვით თავისივე ხელით გადაღებული ფილმების გამო გაჩნდა - იყოს მიზეზი კრიტიკოსების მისდამი დამოკიდებულებისა; ისინი ბევილაკვას "ლიტერატურა-ის-

ტებლოშმენტს“ უწოდებენ და რამდენიმე თვის წინ გამოცემულ “XX საუკუნის იტალიური ლიტერატურის ისტორიაში” იგი საერთოდაც არ მოიხსენიეს!

სხვა იმედისმომცემ პროვინციელებს შორის დამკვიდრებულმა, მან წარმატების სამოციანი წლების დასაწყისში მიალაწა რომანით “სიყვარული ჩაფლული ქალაქი” (1962); სამოქალაქო პათოსითა და სისხლიანი ვნებებით აღსავსე ეს ნაწილი პარმის პროვინციული სურნელითაა გაუნდობილი. ქალაქში დამკვიდრებულ მწერალს დროთა განმავლობაში ჩაუჭრა ეს თავდაპირველი მგზვნებრება: თანამედროვე თეატრალა - ნევროზი, ცხოვრებით დაუკაყოფიერებლობა (დინამორი, ხელოვნური სტილით მოედრინებული) საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა სახელი გაეთქვა ავტორისათვის და მატერიალურადაც უზრუნველყო იგი, მაგრამ ბევრალავე სულ უფრო დაუმორაწაწმედილი ლიტერატურას.

ანალიზირებდა ექვეცა კრიტიკა დაწია მარანისაც (დ.1936). თანამედროვე მწერლისთვის მისი ბიოგრაფია ებრუნებოდა: ლიტერატურულ სცენაზე და მსოფლიო ქრინიკებში მისი დებულება აღბერტო მორავის საყვარლის ამბულაში შედგა, შემდეგ იგი “ოპოზიციანი” გადავიდა, ფემინისტო გახდა, ეკოლოგიური იდეალებისთვის ბრძოლა დაიწყო და ა.შ. იგი ყოველთვის მოდურ კამპანიებშია გარეული (მოთხოვნების მისმა უქანსკელმა წიგნმა “წყვიდი” სტრეგას პრემია მიიღო; იგი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე მოკვითხრობს) და ცდილობს მუდამ ყურადღების ცენტრში იყოს.

არინ კიდევ ეწ. “კალივინოს შვილიშვილები”. კალივინოსან დანიელი დელ ჯუდიჩეს (დ.1947) პრობა გარკვეული მეცნიერული სიმძრავლე მიიღო მეკვიდრებდაც, მას მეცნიერებასა და ტექნიკასთან კავშირი ასაზრდოებს, ასევე თავდაჭერილობა ლიტერატურული მექანიზმების კვლევისა და ძიებისას. პირველ რომანში “უმიმდინონის საღადონი” (1983), რომელიც კალივინოს დახმარებით გამოიცა, ავტორი არკვევს მიზეზებს იმისა, თუ რატომ მიატოვა ნერა ტრიესტელმა ინტელექტუალმა ბოში ბახლენმა და რატომ არჩია მან პირად თანამოსუბრეებზე შეგაკლენა; მეორე რომანში - “დასავლეთის ატლასი” (1985) მოხუც მწერალსა და ასალაგზად ფიხის შორის მეგობრობაზეა მოთხრობილი. ამ ასალაგზრდამ ატომის ასალი განსახლერება აღმოაჩინა: ფიხიურერიგალობა და მეტაფიზიკური პიოთიება, კანონი და წარმოსახვა შეიძლება იმედნად დაახლოვდნენ, რომ ერთბაშეში აეკრიოს. თუკი ჯუდიჩეს მომდევნო ნაწარმოებზეა ვერ შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი თანამედროვე იტალიურ ლიტერატურაში, ამ მწერლის ფიგურამ მაინც მოიპოვა თავისი ადგილი ლიტერატურულ არენაზე,

როცა გამოცემლობა “ეინაუდის” ჩაუდგა სათავეში და ისეთივე სერიოზული და პირქუში ნიღბი ჩამოიყვანა სახეზე, როგორც მის სახელგანთქმული წინამორბედებს ჰქონდათ ამ პოსტზე.

ანდრეა დე კარლომა (დ.1952) სახელი გაიწინოს წყალობით მოიპოვა და ნახევარი ცხოვრება კალიფორნიისა და ავსტრალიის შუის სცემა გაატარა, მუშაობდა ტელედოკუმენტალისტად, სტენარისტად, ჟურნალისტად და აქედან გამომდინარე, ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს მამედისთან. თითქმის ყველა მის წიგნს დიდი წარმატება ხვდა წილად, დაწყებული “ნაღვის მატერებელი” (1981) და მისი უიანსკელი ნივითი, “მოცემულ მომენტში” (1997) დამთავრებულ. კომპიუტერზაციის ეპოქისთვის დაბნასათებელი სტილიმ შექმნილი მისი ტექსტები ჩქარი რიტმითა და საკმარისზე მეტად ჩახვეტილი სიუჟეტითა და ინტერგებიტ გამოირჩევა და როგორც ჩანს, მის მთავარ ღირსებას, ჩვენი პროზის დისპროვინციულიზაცია წარმოადგენს.

დე კარლოსთან ახლოს დგას, ჩემი აზრით, დღეს ერთერთი ყველაზე პოპულარული მწერალი იტალიაში, ალესანდრო ბარიკო (დ.1948), ვისმა რომანებმაც “რისხვის ცინე-სიმბარგები” (1991), “აბრეშუმი” (1996), “ქალაქი” (1998) დიდი საერთაშორისო წარმატება მიუტანეს ავტორს და მათ უკვე ფილმებდაც იღებენ. მის შესახებ არამხოლოდ იტალიაში საუბრობენ; გერმანიაში, მაგალითად, იგი “კონ-ავტორად” მოიხალისა. მისი წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო პოპულარული გმირია, ვიდრე მწერალი: ტელეგდაცვების წაყვანი ბარიკო ყველაზე რეკლამას უკეთებს თავს; ოპორტუნისტი, დღევანდელი მეტარტენე მთავრობას უჭერს მხარს და უფრო მოუბელტრისტიკის უპირატესვლავად წარმოგადგება. Global village-ს მოქალაქე, იგი შესანიშნავად იცნობს მასობრივი ინფორმაციების მამკაროს და მისი უგემოვნო ზედაპირით დაფარული რომანები ნებისმიერ გემოვნებს აკმაყოფილებს, ნებისმიერ ენაზე ითარგმნება და ფილმებდაც გადაიბეჭევიან ხოლმე (თანაც არაფერს კარგავენ...).

ერთერთმა ყველაზე გაველიანი თანამედროვე კრიტიკოსმა აბერნარდინელი მის შესახებ წერდა: “გამორცხულია, რომ ვინმეს გრძნობები აღებრას ან რაიმე ისნავლის მისი წიგნის ნაკითხვით”.

ეს ლიტერატურული საუკუნე რამდენიმე ათწლეულით ადრე დასრულდა: გარკვეული დროიდან უკვე აღარ სესხული სიუჟეტებისა და უცხო პოზების მანიერისტული განმეორების ეპოქა დაიწყო.

უმეტესი ეკოს (დ.1932) უდავო დამასახურებად (მეცნიერისა და სემიოტიკის პროფესორის, რომელსაც იტალიაში ხუმრობით “ტუტოლოგს” უწოდებენ - სიტყვიდან tutto - ყველგური) იქცა ის, რომ მან, “დამწყება მწერალმა” მსოფლიო ყურადღება იტალიური ლიტერატურისკენ მოაქცია რომან “ვიდის სახეისი” (1980) წყალობით, რომელიც ავტორის მერე სემიოტიკისა და თხრობითი სტრუქტურების სფეროში შექმნილი მთელი რიგი ნარკვევებისა და გამოკვლევების შემდეგ გამოვიდა. ესაა ერთგვარი დეტექტივი, რომლის მოქმედებაც შუასაუკუნეების ეპოქაში ვითარდება და სადაც პოლიციური რომანის ნიშნები ორგანულად ერწყმის ისტორიულ რომანს, მდიდარ კულტურულ დეტალებს, მხატვრობასა და ა.შ. ავტორმა მასში შეძლო და სიცოცხლე შთაებრა კომინაციების რთულ სისტემებსა და ფართო სიმბოლურ მნიშვნელობათა ხლართებს; ერთი სიტყვით, ესაა ისტორიისა და ფანტაზიის, ისტორიული დოკუმენტების, იდეოლოგიურ გამარტლებათა და თავისუფალი მხატვრობის გამოგონის ნაერთი. ანალიზური ზერხები განმეორებულია რომანებში “უფოს ქანარა” (1988) და “წინა დღის კუნძული” (1994) და მათაც თითქმის ისეთივე წარმატება



ჯუსტინო კალვინო

ხვდით ნილად, როგორც "ვარდის სახელს".

მის პროზას - რომელიც პუბლიცისტური სტილითაა გაჯერებული და სადაც ფსიქოლოგიური პრობლემებისგან დაცულია, ზედაპირული პერსონაჟები სახლობენ, "ტიპების" ფუნქციონირება როლს რომ თამაშობენ - სამიწაში პოსტმოდერნული ნაწარმოებების სტატუსი იმითომ შესძინეს, რომ ყველაფერი უკვე დანიშნული და თქმული მან კიდევ ერთხელ დანერგა და გამოტყდა სხვადასხვა სქემებისა და სიუჟეტური სტრუქტურის დახმარებით, შექმნა ციტატებისა და გამოძახილით მართვადი სტრუქტურა.

პოსტმოდერნისტად ითვლება პირი ვიტორი ტრინდელო (1955-1991), არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ერთ-ერთ ნივთს ასევე შეეძინა "უიკენდი პოსტმოდერნის სტილში", არამედ იმიტომაც, რომ მის შემოქმედება ერთგვარ კატალოგს წარმოადგენს, სადაც ყველაფერი, საზოგადოების უშიშრე ტრადიციებიც და ჩვეულებებიც კი, მანიაკალური სიზუსტით აღიწერება, აუარება დეტალებითა და ბლომად ციტატებით თანხლებით. მისი ტექსტები "პია, პია" (1983) და "რიმინი" (1984) საესაე ციტატებით კინოვლემებიდან, სიმღერებიდან, კომიქსებიდან; ხშირია ბულვარული გამოთქმები, ამერიკელებისგან ნასესხები ახალგაზრდული სლენგი (განსაკუთრებით კერუაკისგან და ბუაკუსკისგან). ყველაფერის ეს კი სესქის ძალზე პიკანტური სოსუსითაა შეჰმავლული.

ტრინდელის გვერდით, სექსუალური თემატიკის გამო, შეიძლება დავაყენოთ ადლო ბუზი (1948), რომლის დებოტსაც ენთუზიაზმით მიესალმა კრიტიკა და მასთან დაკავშირებით დიოსტოკის სახელიც კი ასესენ. "ახალგაზრდობის სეზონარი" (1984) მათალაც ცინიკური, დაუნდობელი, გენიანი, გულახდილი ავტობიოგრაფიაა, სმპურაზი, როგორც მთის მდინარე. სამწუხაროდ, მომდევნო ნაწარმოებში "დროებით კოლოკუტების გამეფების სტანდარტული ცხოვრება" (1985) და "I-იანი შრიფტის სილიბაი" (1988) გვაუწყებენ, რომ მდინარე უფრო კლოავა იყო, რომელსაც მისი სექსუალური გადამრბობის სიმყრალე მოჰქონდა, მისი აუტანლად პროვოკაციული სწრაფვა ყველა შესაძლებელ ზღვარს გადაეწოდა.

არამდინად პოსტმოდერნისტად, რამდენადაც "მანიერისტად" შეიგნება ანტონიო ტაბუკი (1943), ეს პროზასაც "შეირებისისხვება" უწოდებენ მისი გამო, რომ იგი ლიტერატურული მქსიერებით იკვებება - სხვა ნაწარმოებებისა და ატორთა გამოძახილით (განსაკუთრებით პესოსას, რომელსაც ტაბუკი, როგორც პორტუგალისტი, შესანიშნავად იცნობს). მისი პროზის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სწრაფვა სიუჟეტური მასალის გაუმჯობესებას, რათა ბოლოს აღმოაჩინოს (ან იმედი შექნებდეს რომ აღმოაჩინოს) სხვა ისტორია უკვე მოთხრობილის ფარგლებში. მასზე მინიშნებისა (განსაკუთრებით რომანთან "პერვირა ამტიკებს" (1995) მიმართებაში) კრეტიკოსი პკუილიან აღნიშნავს, რომ "ზორიერის მწერალს" უტყლიათ ადგილად დაიმორჩილონ თხრობის სადავებები და მხოლოდ ერთი ნამით გვიჩვენებენ... ღრმა აზრობა და სერიოზულ გეზონტენციული პრობლემატიკა". მის ნივთებში სიმართლის უსუსურებლაც ჩანს, რომელიც მოგვიანებით მხოლოდ მაღალფარდოვანი ბანალობა აღმოჩნდება, - ზუსტად ისევე, როგორც ეს "იოლად საკითხავი" ლიტერატურის სქემებშია.

ეს განსჯები სუზანა ტამაროსაც ეხება (1957). მან მოქნილად, მაგარმ უგემოვნად, სტილის დაცვის გარეშე და "გულისამამირობა" ინტერდისციპლინის დახმარებით მიიღო მსოფლიო ატორთა თავისი რომანი "ვადი, სადაც გული გაგინებს" (1994): მას, წარსულის სახელმძღვანელო მწერალ ქალს, ლილასაც ადარებდნენ, ულტრანენტშიმენტალური და პათეტურივანი სასიყვარულო რომანების ავტორს.

თუკი წარმატებაზე ვისაუბრებთ, ძნელია იმის უარყოფა, რომ 1999 წელი ბევრი რამით, ანდრეა კამილირის (1925) წელი იყო, ვისმა რვა ნივთაც ერთდროულად რამდენიმე ერთგულ პიტ-ალეუმში დაიკავა ნაწყენი ადგილები. წარსულში სცენარისტმა და ტელერეჟისორმა, მან უფერად გაავსო ნივთის ბაზარი თავისი დეტექტივებით, რომლებსაც წლების მანძილზე უფერაში ინახავდა და რომელიც კომისარ მონტალბანის საგამარნო საქმეებზე მოგვითხრობდა. ნაწარმოებებს სიცოცხლეს მატებს სიცილიური დიალექტი და ავტობიოგრაფიული კოლორეტი (ზმონარ შესაძლოა მოსაგებრებლად უხვი); ირგვლივ ყველაფერი ანტიკური არამატეხითაა გაჯერებული. პუბლიკის მისამდე კეთილგანწყობა, შესაძლოა ქალაქურ ცილიზაციამ დაწმუჭული მწერლების ენობრივი მინიმალუმი აიხსნათ, მათი ტექნიკური ან სტატევიზიო მიზნით (რომელიც უკვე 1961 წელს პაზოლინიმ ახალ ლიტერატურულ ენად აღიარა). ცხადია, კამილირი ამ თვალსაზრისით პიონერი არაა, მანამდე ბევრი ვინმე გამოიყენა სამწერლო არენაზე "დიალექტით აღჭურვილი" (საკმარისია სიცილიელი ვინმეც კი კონსოლო (1933) დავასაბუთოთ, ვისი ნივთებზე ლინგვისტური თვალსაზრისით მალზე ძვირფასი "შენადნობი" ხასიათდება, თუმცა ელვარჩნილი სტილის გამო ცოტა ვინმე თუ ყიდულობს).

თავად კამილირი იმედისმოქმედ ავტორად ახასიათებს ნეაპოლელ გუგუზე ფერნანდინოს, რომელიც ადრე კომიქსებს თხზავდა. ამგვარი "წარმოშობა", რომელიც ამ ორ ავტორს აერთიანებს, მთივე აზრით, შესაძლოა უპირატესობად მივიჩნიოთ, რადგან ის თავისი უსულებების მწერალს ლიტერატურული ტრადიციის ბალანსისგან.

ტრადიციას შორდება, თუმცა არანაკლებ კონფორმისტულ უკიდურესობაში ვარდება ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი, რომელთაც "კანბალები" შეარქვეს (ამავე სახელწოდების ანთოლოგიის მიხედვით). მთავარი ნიშნები, რაც ამ მწერალთა შემოქმედებას ახასიათებს (მათ შორის გამოირჩევა ნიკოლო ამინტო (1966)), ესაა ყურადღება ყოველდღიური "შეცვლებისადმი", მოზარდების უკიდურესობამდე მისული სისასტიკე, სამინილებათა ფლემები და სისხლის შადრევნები (ამ მიხედვითაა და როგორც ჩანს, მათი თანატოლი ფრანკი ახალგაზრდების მასწავლებლებზე სტივენ კინგი და კენეტ ტრანტინო არიან). მთლიანობაში იუმორით შეჰმავლული ამგვარი ნაწავი, ერთგვარ Pulp Fiction-ის კატეგორიის შეიძლება მივაკუთვნოთ.

სინამდვილეში ჩვენ ორ უკიდურესობას შორის ვიმყოფებით, არავინ იცის, რაა უარსი, Pulp Fiction-ის კომპანები თუ ამანტიკის უკანასკნელი რომანის ("მოგვიტყვი" და ნავიკენ" (1999)) უაზრო და ფეხბეზემკიდა პროზა.

სხვა ცნობილი ავტორებიდან, ალბათ აუცილებლად უნდა გამოვყოთ ენრიკო ბრიცი (1974), ვისი რომანიც "ჯეკ დრუმანტენ გუგუზე დატოვა" (1994) უკვე იქცა ახალგაზრდული ენის კვლევის ობიექტად. იგივე შეიძლება ითქვას გუგუზე კუიკის შესახებ (1966) თავისი რომანებით "ყველანი დაწყეთ" (1993) და "თვლი ლობებზე" (1996), სილვია ბალესტრადე (1969) რომანებით "იგუანას დაბადების დღე" (1991) და "დათვები" (1994). ამ მიხედვითის სახელმძღვანელო დაკავშირებით "ახალგაზრდული" ლიტერატურა. შინაარსობრივი თვალსაზრისით ეს სუსტი ნაწარმოებები ბრმად ბაძავენ ამერიკას და მათთვის ყველა კულტურული ორიენტირი მაკონსულდებს და ნაიკის ბოტასებს, Beautiful-ის ტელესერიალსა და "ვარსკვლავურ ომებს" შორისაა მოთავსებული. სილვია ბალესტრა, თავის შრიც, ფანტასტიური, კომიქსებთან აბულებულ მართლაც რომ გიგური ექვემდებარები შეზავებულ ენობრივ პაროდის გვთავაზობს. ბრიცის პროზას, შესაძლოა თავისი ასაკის გამო მოზარდთა პროზაც ენო-

დოს: დისკოთეკურ გულახდილობებ, ტუალეტებსა და მცხრეობში კვდლებზე მიხაპნილი ფრახები ემტება და უფროსკლასელი გოგონების ნაივურ-სტენტიმენტალური დღიურის სახეს იღებს.

სტატიის პოლის ერთი რამ უნდა ვაღიარო, კერძოდ კი ის, რომ წარმოდგენილი პანორამა ძალზე დანურულია, თუმცა, ჩემი აზრით, არადერი შეიცვლებოდა აქ სხვა იმედისმოცემი ახალგაზრდა ავტორიც რომ დამემომნებინა. მაგალითად, რობერტო კოტრონიცი, ალბერტო არბაზინი ან ედუარდო სანგვინეტი.

(სხვათა შორის, უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა თანამედროვე იტალიური პოეზიის შესახებ. ნიკინის მაღალიზეში პოეტურ კრებულებს თითქმის ვერ შევხვდებით, მათ არავინ ყიდულობს. ლექსებმა რამდენიმე ლიტერატურული წრის კატაკომბებში შოვია თავშესაფარი, სადაც პენსიონერი მანსაველებები თავიანთი ლექსებს კითხულობენ, თანაც, არც უსმენენ ერთმანეთს... რა თქმა უნდა, რამდენიმე სასულე და დემომონებ: ბრუნო ტორენტი (დ.1948), ჯოვანი რაბინი (დ.1952), ჯუზეპე კონტი (დ.1945), ვალერიო მაგრელი (დ.1957); მაგრამ ყველანი ისინი აცნობიერებენ, რომ პოეზია განიდგება საშუაროდან და იგი უკვე აღარაფერს ნიშნავს. ჩემი აზრით, ერთადერთი პოეზია, რომელიც იტალიელებს უყვართ, ესაა როსისა და ჯოვანოტის სიმღერის ტექსტებია).


მამს ასე, თუკი მაინც მოვიდომებთ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთ თქმული, მხოლოდ უარყოფით შედეგს მივიღებთ. ჩვენი ლიტერატურა არა მარტო უარს ამბობს სერიოზულ სამუქალაქო და საზოგადოებრივ პოლიტიკაში მონაწილეობაზე, არამედ საერთოდ მათი გაცონებაც არ უნდა. არც მკვეთრი იდეოლოგიური პოზიცია უკავია ვინმეს და რაიმე ესთეტიკურ პლატფორმაზე ხომ დაპირაკიც შედგებია (უკვე აღინიშნა, რომ აღარც ლიტერატურული მნიშვნელობები არსებობს და არც პროგრამები და სკოლები). ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ამის მიუხედავად, დარბიო ფომ ახლანამ სალიტერატურო ნოველი მილიო - მაგრამ მე მათ შევასხენებ, რომ იტალიის თითქმის ყველა ლიტერატურულმა წრემ დაციენადა აღიქვა ეს გამარჯვება.

ნიგნები, გარკვეულწილად ერთჯერად შპრიცებად იქცა - იხმარე და გადააგდე. ლიტერატურა კი მხოლოდ მოხმარების პროდუქტად, ევრო ნოვდებული Fast Food-ად. ძალიან პესიმისტური სურათია? ანა მონია.

ერთადერთი გამოსავალი კომპიუტერია, მოგზაურობა ინტერნეტის სამყაროში. ამოკრჩევეთ რომელიმე საიტს, სადაც ოთხ, ექვს და ახ სელში შეეკნით ორ, სამ ან ხუთნივან ლიტერატურას. აქ ერთმანეთს შეერწყმება ყველა ეროვნული ლიტერატურა, ან ლიტერატურის დღევანდელი ცნება საერთოდ დაკარგავს აზრს.

მაღლობა ინტერნეტს, რადგან მასშია ხსნა!

თარგმნა ლუპა მამხინილაშა



“არ გვინდა შენი მტვერისასრუტი, მოგვაცი, ღმერთო, მტერისასრუტი!”

საკონსტიტუციო ცვლილებებისა და მინისტრთა კაბინეტის შესახებ საუბარი საქართველოს ხელისუფლებამ პირველად სამი წლის წინ, 1998 წლის ზაფხულში დაიწყო და დაასრულა გოდუც - სწრაფად და უშედეგად.

თუმცა, ისიც საკითხავია, არა გვგებავდა თავად ხელისუფლება, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის იწყებდა - კოალიციურ კაბინეტს, გუნდურ კაბინეტს თუ არსებული ვითარების შენარჩუნებას.

მამინ, სამი წლის წინ, საქართველოს პოლიტიკური ინტერიერი უკვე ორ ცენტრად იყო გაყოფილი. მმართველი პარტია თბილისს “აზაგრება”, ბათუმს კი ოპოზიციური პარტიების ლიდერები სტუმრობდნენ და, პერიოდულად, დესტაბილიზაციით იმუქრებოდნენ.



რატომ ჩნდება საქართველოში სამი წელიწადში ერთხელ მინისტრთა კაბინეტის შექმნის აუცილებლობა? და რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ამ მუდმივ დრამაში უტყვევლია ორი მთავარი “პერსონაჟი”: თბილისის და ბათუმის პოლიტიკური ცენტრები?

ორივე შემთხვევაში, 1998 და 2001 წლებში, მინისტრთა კაბინეტის შექმნის ინიციატორი პრეზიდენტის გუნდის რეფორმატორებად წოდებული ნაწილი იყო. 1998 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეს პარლამენტის თავმჯდომარემ - ზურაბ ჟვინია - განაცხადა, რომ ქვეყანა უფსრულის პირასაა და რომ იგი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ითხოვს დასკვნითი ბრძოლის წინა ხაზზე გასვლას.

მამინ საკონსტიტუციო ცვლილებებზე და მინისტრთა კაბინეტზე საუბარი დაიწყო ორი სხვადასხვა მიზნითა და, შესაბამისად, ორი ურთიერ-თავამორიგება მიმართულებით.

პირველი მიზანი წმინდად პოლიტიკური იყო და ბათუმის ცენტრის დასუსტებას ემსახურებოდა. პრეზიდენტმა მოიწონა კოალიციური მთავრობის იდეა, რითიც ოპოზიციური პარტიები აიძულა, მოლოდინების ველში დაეწყოთ ცხოვრება და ეტყვნათ გზა თბილისსა და ბათუმს შორის. მეორე მიზანი უკვე უმოდებოდა არა პარტიებს, არამედ - სახელისუფლო ძალთა გადანაწილებას ამ მიზნის განსახორციელებლად, პრეზიდენტს უნდა გადაეყენებინა არაეფექტური მთავრობა და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთიანი გუნდით დაეკომპლექტებინა.

პირველი მიზანი - მინისტრთა კაბინეტის მეშვეობით პარტიებს შორის ურთიერთობის მოწყობა - უფრო პრეზიდენტის ინტერესებს შეესაბამებოდა.

მეორე მიზანი - აღმასრულებელი ხელისუფლების თვისებური განახლება - ძირითადად, რეფორმატორთა გუნდს ამორჩავებდა. რადესაც

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ გადაამყვებტი ბრიკოსის ფაზი დგება, იგი ფრონტის მეორე მხარეს გულისხმობდა არა ოპოზიციურ პარტიებს, არამედ - ეკლექტიურ და უუნარო მთავრობას.

მაგრამ ეს ორი მიზანი თავისი არსით უპირისპირდებოდა და გამორიცხავდა ერთმანეთს: ოპოზიციური პარტიების გულის მოსაგებად კომპიუტერი კაბინეტი უნდა შექმნილიყო; რეფორმატორების გვეგებს კი მხოლოდ კაბინეტის გუნდური პრინციპით დაკომპლექტება შეესაბამებოდა.

რა მოსდა საბოლოოდ?

რადგან აჭარის ლიდერთან დამეგობრებულმა პარტიებმა თბილისსა და ბათუმს შორის მიმოსვლა გაახშირეს, საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ მათი ოპოზიციურობა რაიმე მყარ საფუძველს მოკლებული იყო და მოქალაქეთა კავშირთან გარიცხვებს არ გამოირცხავდა. მიხეილ სააკაშვილი საჯაროდ აცხადებდა: "კონსულტაციებში მონაწილეობის ინტერესი გამოვლენილია ყველა პოლიტიკური ძალის მიერ, ვინც კი პარლამენტის კვდლებშია - ალორმინების" გარდა".



მართალია, კოალიციური კაბინეტი (რასაც ოპოზიცია უჭერდა მხარს) არ შედგა, მაგრამ ბათუმის პოლიტიკური ცენტრის ავტორიტეტი აშკარად შეიღებინა. ამით პირველი მიზანი, ფაქტობრივად, მიღწეულ იქნა.

იმავედროულად, არც გუნდური პასუხისმგებლობის კაბინეტი ჩამოყალიბდა, რასაც რეფორმატორები თხოვდნენ. ამით მეორე მიზანი - აღმასრულებელი ხელისუფლების განახლება - შეუსრულებელი დარჩა.

საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რამ შეუშალა ხელი საკონსტიტუციო ცვლილებებს 1998 წლის ზაფხულში. ერთი ეჭვის გამოთქმა კი შეიძლება: მაშინ აჭარის ლიდერმა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ურთიერთობა უკუდურესად გამწვავებული იყო. ზურაბ ფვანის გაპრემიერებას, შესაძლოა, ცენტრსა და აჭარის ხელისუფლებას შორის კონფლიქტი კატასტროფაში გადაუზარდა.

პრეზიდენტმა უფრო ნუნარი და ურისკო გზა აირჩია: ჯერ აქტიური კოალიციური კაბინეტი და პარტიებზე გადაიტანა, შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებით ნაადრევად გამოცხადდა და, ბოლოს, მთავრობის ნაწილობრივი, არარასწებიითი განახლება დაიწყო.

იმ ფაქტს, რომ პირველი მიზნისგან განსხვავებით, მეორე მიზანი - გათითოკავებული და არაფექტიური მთავრობის შექმნა - მიუღწეველი დარჩა, სერიოზული შედეგი მოჰყვა სამი წლის შემდეგ.



განვლილი სამი წლის მანძილზე მთავრობაში თავი მოიყარა სრულიად განსხვავებული მიზნებისა და მსოფლმხედვის არაერთმა მინისტრმა. ბოლოსას კი სამთავრობო სივრცე ნამდვილ საომარ ლელოდ გადაიქცა: აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელობის ყოველი თავმოყრა ერთი და იმავე სცენარში - მინისტრებს შორის მამფერი დაპირისპირებით და ურთიერთბრძოლებებით - მიმდინარეობს. პროცესი შეუქცევადია და მთავრობის საქმიანობის სრულ უწყაფობას იწვევს.

ამ პირობებში ბუნებრივად გაჩნდა აუცილებლობა, პრეზიდენტს უარი ეთქვა სხვადასხვა სამთავრობო ბანაკს შორის დამბალანსებლის როლზე და გამოეცხადებინა გამარჯვებული.

პრეზიდენტმა ეს გამოწვევა მიიღო და გამოაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტს არჩევნებში გამარჯვებული პარტია დაკომპლექტებს, ხოლო პრემიერმინისტრის პოსტზე მისი კანდიდატი იქნება ზურაბ ფვანია.

დღეს პარლამენტის თავმჯდომარის გულშემატკივრები სერიოზულ შეცდომად უთვლიან პრეზიდენტს კენჭის-

ყრამდე ორი თვით ადრე რეალური კანდიდატის დასახლებას. მაგრამ თუ ისევ სამი წლის წინანდელ გამოცდილებას გავსვენებთ, მაშინ ფვანის გვარის ტაჟურიებას არანაირი შედეგი არ მოუტანია.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამჯერად, ზურაბ ფვანის კანდიდატურის საჯაროდ დასახვების შემდეგ?

ბუნებრივი იქნებოდა, დამარცხებულ სახელისუფლო ბანაკს ღია ან ფარული ფორმებით პროტესტი გამოეტანა პრეზიდენტის ვერდიქტის გამო და ოპოზიციის შესანარჩუნებლად დაენიო ბრძოლა. ღია ფორმით ეს არ მომხდარა. რა ხდება პრეზიდენტის ურთიერთობების სფეროში, - საზოგადოებისთვის უცნობია.

მაგრამ ედუარდ შევარდნაძის არჩევანი უპასუხოდ არ დარჩენილა. ვინ და რა ფორმით გამოეპასუხა პრეზიდენტს?



პირველი რეაქცია საპარლამენტო ოპოზიციამ გაამყვანა: თუ პოლიტიკური ძალები ადრე მინისტრთა კაბინეტის მოშორე იყვნენ, პრეზიდენტის არჩევანმა (ფვანის სასარგებლოდ) ისინი სწრაფად გაერთიანა საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ. მაგრამ ოპოზიცია ერთიანი არ არის. პირობითად, მისი დაყოფა შეიძლება "მეომრებად" და "ვაჭრებად".

დავიწყოთ "ვაჭრები", რომლებიც პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის პოლიტიკური მტრები არ არიან. მათ საკუთარი მიზნები აქვთ და რაც შეიძლება მეტი სარგებლობს მიღებს აიბრებენ საკუთარი მხარდაჭერის სანაცვლოდ.

რაც შეეძება "მეომრებს", ისინი შევარდნაძისა და ფვანის წინააღმდეგ მთელი სასიცოცხლო ენერჯის ჩართვით იბრძვიან. მათი გულის მოგება დათმობებით შეუძლებელია. ისინი ვერ გუვებენ მრედასაფუძველ ძალების გაძლიერებას და ამ ომის ნაგებას არ აიბრებენ. სწორედ ისინი ადებინებენ ფიცს საკუთარ კოლეგებს, რომ ოპოზიციის ერთიანობა ურღვევი იქნება.

სინამდვილეში, ოპოზიციის ორ სეგმენტს - "მეომრებს" და "ვაჭრებს" - განსხვავებული ინტერესები აქვთ. "მეომრები" ბრიკოსის ამჟამინდელ ეტაპს იმ შემთხვევაში მოიგებენ, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩაგვრდება; "ვაჭრებისთვის" კი ცვლილებების ჩაგვრდა სარგებლობს გარეშე დარჩენას და, ესე იგი, ნაგებას წინშავს.



საქართველოს მთავარი "მეომარი", რალა თქმა უნდა, ასლან აბაშიძეა. სამი წლის იმ მან შექმნა მეორე პოლიტიკური ცენტრი, რომლის ალტერნატიულობა ეფუძნება ცენტრალური ხელისუფლებისგან პრინციპულად განსხვავებულ იდეოლოგიას.

თბილისში აცხადებდნენ, რომ საქართველომ უნდა იტვირთოს ევრაზიული დერეფნის ფუნქცია და, ესე იგი, ქვეყნა უნდა ჩაერთოს შორიზონტალურ ინტეგრაციაში. ბათუმში კი, ამის საპირისპიროდ, აცხადებდნენ, რომ ინტეგრაცია, საქართველო "ტროლს" მომვლელ ქვეყნად გადაიქცევა; საქართველო უნდა გახდეს ხიდი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის; მან უნდა დააკავშიროს მათთლმადიდებლური რუსეთი ისლამურ თურქეთთან იმგავად, როგორც აჭარაში არაერთი საუკუნის მანძილზე თანხმობით ცხოვრობენ ქრისტიანები და მუსულმანები. ესე იგი, ალტერნატიული იდეოლოგია ქვეყანას ვერტიკალურ (და არა შორიზონტალურ) ინტეგრაციაში ჩართვას სთავაზობდა.



2001 წლის თებერვალში, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის სემინარზე, რომელც წყალობაში ჩატარდა, ორგვარი ინტერნაციული პროცესის შესახებ ვრცელი დღეცა ნაიკითხა იტალიის თავდაცვის სამინისტროს

ტროს სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ნამყვანმა ექსპერტმა ფედერიკო იბხერემა. მან განმარტა, რომ შორი-ზონტალური, ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთის ინტეგრაცია ევროსაბჭოსგან მომდინარეობს და იგი ქვეყნების უსაფრთხოების მთავარი გარანტია. ხოლო ვერტიკალური ინტეგრაცია, როგორც წესი, საფრთხეს უქმნის ქვეყნების უსაფრთხოებას, რადგან ურთიერთობის საფუძვლად მათ არათანასწორობას გულისხმობს.

ჩვენს რეალობაში, ვერტიკალური ინტეგრაცია ნიშნავს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას, ანუ, ფაქტობრივად, რუსეთის გავლენის სიერცემს დაბრუნებას. ვერტიკალური კავშირებზე და საქართველოს "ვერტიკალურად" დაქუცმაცების გეგმებზე დაინტერესებული მკითხველი ბევრ საინტერესოს ამოკითხავს რუსეთის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის - ალექსანდრე დუგინის ნივთში "გეოპოლიტიკის საფუძვლები. რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი".



საქართველოში დუგინის იდეების პირველი დამამკვიდრებელი იყო ასლან აბაშიძის ძველი მეგობარი - მოსკოველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ, 2001 წლის 4 ივნისს ჭაჭია ინტერვიუ, ტრადიციულად, "სასავალ-დასავალში" გამოაქვეყნა; ინტერვიუს მთავარი "მსიჯებები" (შეტყობინებები) ეს ასლან აბაშიძემ გაიმორცა იმავე კვირის ბოლოს "კურიერ პ.ს."-სთვის მიცემულ ინტერვიუში: 1. არ შეიძლება, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მოვიდეს არაქართული იდეოლოგიის "მესუთე კოლონა". 2. არ შეიძლება მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება გუნდური პრინციით; პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ პერსონალური უნდა იყოს.

ამას მოჰყვა ასლან აბაშიძის მეორე ინტერვიუ - აჭარის ტელევიზიის გადაცემაში "აქცენტი" - სადაც პოლიტიკური ოპონენტების შეხასებამ პირდაპირი და უშეკერი ლანძღვის ფორმა შეიძინა.



ასლა შეგვიძლია, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებული ის ძალები დაგვაფუთო, ვინც ლიად დაუპირისპირდა საკონსტიტუციო ცვლილებებს და, ესე იგი, შედასავლეთე ძალების გაძლიერების მცდელობას.

ქვეყნის შიგნით:
1. **ასლან იმეარჯანიანი** - რომელიც ფსონს ფვანას წაგებაზე დებენ და საზოგადოებას საკუთარი თავის რევიზორებობების პოლიტიკურ ალტერნატივად სთავაზობენ.

2. **სოციალისტები** - რომლებიც შედასავლეთეებს იდეოლოგიულად უპირისპირდებიან და ინიციატივას იჩენენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მოწესრიგებაში. საქმე ისაა, რომ სოციალისტებმა საზოგადოებას სთავაზუეს ასალა კონცეფცია, რომელსაც თავად "ჯერის კონცეფცია" უწოდებ. იგი საქართველოს ორი საგარეო ვექტორის ზედდებას ითვალისწინებს. სოციალისტებს შორის მონაწილური ინტეგრაცია მოსწონთ და ვერტიკალურიც თუმცა, ამ კონცეფციის მთელი "ფოკუსი" ისაა, რომ, სინამდვილეში, დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ინტეგრაცია ურთიერთალტერნატივულია და მთლიანად გამორიცხავს ერთმანეთს. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ინტეგრაცია გულისხმობს რუსეთის ენერგომატარებლების და კულტურულ-იდეოლოგიური ნაჱადების გატარებას რუსეთიდან თურქეთისაკენ - საქართველოს გავლით. რუსეთისთვის უაღრესად ხელსაყერი ეს კონცეფცია პირდაპირ გულისხმობს ევრაზიული დერეფნის ფუნქციის დაკნინებას. ასე რომ, სოციალისტების ასლი კონცეფცია, სინამდვილეში, ჭაჭიას პრორუსული იდეოლოგიის რბილი ინტერპრეტაციაა.

3. **აღორძინების პაპშირი და მისი ლიდერი**

ასლან აბაშიძე - რომელიც წლების განმავლობაში აფერხებს პარლამენტის თავმჯდომარის გადასვლას აღმასრულებელ ხელისუფლებაში და რომელიც შედასავლეთე ძალების გაძლიერების გზაზე მთავარ დაბრკოლებად არის აღმარყოლი.



პრემიერმინისტრის პოსტზე ზურაბ ფვანიას კანდიდატურის დასახელებამ არა მხოლოდ ქართული პოლიტიკური ძალები და მათი ლიდერები, არამედ - უცხოეთში მცხოვრები ქართველი პოლიტოლოგებიც აამოქმედა. ცხადია, შემთხვევითობას ვერ მივანერთ იმ ფაქტს, რომ მინისტრთა კაბინეტის თქმაზე ქართულ პრესაში თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა საბი მასალა, რომელთა ავტორები უცხოეთში მცხოვრები ქართველები არიან.

1. პირველი ივნისს "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა რუსეთის პროკურორისულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორის ვახტანგ ჭკუასელის წერილი.

2. ოთხ ივნისს გაზეთ "სასავალ-დასავალში" დაიბეჭდა მოსკოველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ.

3. ოთხ ივნისს გაზეთმა "კვირის პალიტრა" გამოაქვეყნა ინტერვიუ აშშ-ის ინდიანას უნივერსიტეტის სლავოტიკის კათედრის პროფესორთან - დოდონა კიზირიასთან (ქალბატონ დოდონას უმაღლესი განათლება მოსკოვში აქვს მიღებული და 1971 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს).

სამივე პუბლიკაციის შათის ერთმანეთს ეთხვევა: ელუარდ შევარდნაძის, ზურაბ ფვანიას და ამერიკის ძაგება, ხოლო მოსკოვის ქება (ზოგან - ლიად, ზოგან - ფარულად).

მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს.
ასლან აბაშიძის **შპსსსსლი**: "თუ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ზოგიერთ პორცესს ამერიკის ელჩი და ამერიკის საუცხმასახურებები მართავენ, თუ საქართველო მთლიანად აღიარებენ საკუთარ მონობას ამერიკის წინაშე, მაშინ, რალა გავთქვამს?... სანამ რუსეთი არსებობს და მის ინტერესებს მსოფლიოში ანგარიშს უწევს, რა კონფლიქტური სიტუაციაც არ უნდა შეიქმნას საქართველოს ტერიტორიაზე, ამერიკის სამხედრო წარმომადგენლები ვერანაირი ფორმით იქ ფვებს ვერ შემოდგავენ. თუ ამას მაინც ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობა - პრეზიდენტი და პარლამენტი, მაშინ ასეთი ხელისუფლება საქართველოს არ სჭირდება... დღეს საქართველოს "უძრავობის ჭაობიდან" ამოსვლის ერთადერთი შანსი ეძლევა რუსეთთან ნორმალური თანამშრომლობის დამყარებობით... მომავალი ლიდერის როლიში გამოდგევა ის, ვინც რუსეთისადმი კეთილი განწყობით მოხსნის დღეს საქართველოში მოდადექეულ კონფონტაციას რუსეთთან".

დოდონა კიზირი: "ვაშინგტონის ადმინისტრაცია, მიუხედავად ფანტასტიკური მასშტაბის კორუფციისა, მაინც აგრძელებს შევარდნაძის შმარდგებარს. ეს იმიტომ, რომ ადმინისტრაციის უკან დაჯდარს იმ უმხეჯელესი კომპანიები, რომელთა ბიზნესის მთავარი პარტნიორი საქართველოში არის შევარდნაძე და მისი გარემოცვა... შე გაბოზნა პარლამენტის თავმჯდომარის ერთმა განცხადებამ: "თუ არ შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო, მაშინ საქართველოში არსებული პრობლემები მოუგვარებლობაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ოპოზიცია". მისგანს პრემიერობი, მდარე და ხალხის შეურაცხყოფელი განცხადებები არსად მომხსენია... მეორე იმედო, რომელიც თბილისში აშქამინდელი მინისტრისას გაბიზნდა, არის ის, რომ ოპოზიციური პარტიები და გგუფები უფრო ხელს

ლომატიურ, დაბვენილ ტაქტიკას მიმართავენ და, როგორც ჩანს, მათში არ გაქმარალა ეროვნული სუ-
ლი... არ შეიძლება ასე "ზნოს ალტაგებით" დასა-
ვლეთისთვის მიბაძება დასავლეთისაგანაც და რუსეთი-
საგანაც ჩვენ უნდა მივიღოთ პოლიტიკური დივიდენ-
დები, პოლიტიკური მოგება".

ალექსანდრე შაჰშია: "რეფორმატორთა" იმ
გეგმვა, რომელსაც მე "მეხუთე კოლონა" ვუწოდებ,
დიდი ხანია, ულაპატა შევარდნაქმს... შევარდნაქმს
აბსოლუტურად არ გააჩნია პროცონზორების უნარი,
მას სრულიად არ ძალუქს, მოვლენათა მგვლელობა
განჭვრიტოს... თუ ადრე ვხანია, სააკაშვილის, ად-
ამიან და სხვა კარიკატურული ფიგურების ფონზე
იგი სოლიდურად მაინც გამოიყურებოდა, ბოლო პე-
რიოდში თვითონაც კარიკატურად იქცა."

○○○

ეს უბუღავციები ქართულ პრესაში თითქმის ერთ-
როულად (პარასკევიან ორშაბათიამდე) გამოქვეყნდა. თუ
გაითვალისწინებთ, რომ ბოლო ექსპერტული გამო-
კითხვებით საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი
თავის ქვეყნის მომავალს ყველა რუსეთს უკავშირებს,
შესაძლოა, ამ ციტატების ნაკითხვამ ბევრს სიამოვნებაც
მოგვაროს.

საკითხავია, რა ინვესტ პრორუსულ განწყობას საქარ-
თველოს მოსახლეობაში?

პასუხი, ალბათ, საკმაოდ მარტივია: როდესაც საქარ-
თველოს ხელისუფლება უსუსურია, როდესაც იგი ვერც
ერთ მტკიცე გადაწყვეტილებას ვერ იღებს და თავის მო-
სახლეობას რუსეთის აგრესიისგან ვერ იცავს, - ადამია-
ნებს (ქვეყნის მოქალაქეებს) არასრულფასოვნების განცდა
ეუფლებათ. მათ უნდებოდათ შიში და, იმავდროულად,
მიზიდულობა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის და მისი
აგრესიული პრეზიდენტის მიმართ.

საქართველო, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას
ძლიერი ნაბიჯები, მოქალაქეებს თავისი ქვეყნის მიმართ
რწმუნა დაუპირუნოს და დაცულობის განცდა ჩაუსახოს,
რომ რუსეთის მაღალი რეიტინგისგან აღარავფიქრად რ-
ჩება. ამ თვალსაზრისის ადასტურებს, თუნდაც, მიხეილ სა-
აკაშვილის პოპულარობა და მის მიმართ ნდობის მაღა-
ლი ხარისხი.

ამიტომ, დღეს იდეური მუდამსვლეთებისთვისაც კი
ძნელია არგუმენტების მოძებნა პრეზიდენტისა და პარლა-
მენტის, თავმჯდომარის დასაცავად. ისინი - საკუთარი სი-
სუსტის დემონსტრირებით - მართლაც დაემსგავსებინ
თავის თოჯინურ პერსონაჟებს. ერთადერთი არგუმენტი
მათ სასარგებლოდ ისაა, რომ პროდასავლური პოლიტიკ-
ური ძალების გასაძლიერებლად გადადგმული თითოეუ-
ლი, თუნდაც მცირე ნაბიჯი მონინააძმდეგე ბანაკის
მხრიდან თავგანწირულ წინააღმდეგობას აწყდება, რისი
თვალყურის მიდევნებაც ახლა უფლება საზოგადოებას.
ბოლო თვეების განმავლობაში ხელისუფლებამ აღარ
დარჩა მცირე სეგმენტები, რომლებიც ერთმანეთთან სამ-
კვარო-სასიცოცხლო ომში არ იყოს საკუთარი ნებით
ჩართული და იძულებით ჩართულნი. და ეს ვითარება მით
უმეტეს არჩენ ძლიერი ნაბიჯების აუცილებლობასამ ომ-
ში შედასვლეთეთა ნაგება ქვეყნის კურსის შეცვლას და
ჩრდილოეთ-სამხრეთის ინტეგრაციაში ჩართვას ნიშნავს.
ეს კი გულისხმობს საქართველოს გულზე გაჭირლო კიდევ
ერთ სამხედრო გზას, მისგან გამომდინარე ყველა შედე-
გით. ეს გზა ჩვენ უკვე გავცილი გვაქვს.

საზოგადოებრივი

დასკვნითი როპითსავი

პოლიტიკური მოლა

წლებანდელ პოლიტიკურ სენზორში მოდამი შე-
მოვიდა წინააღმდეგობის ტონი, რომელმაც
თავისი პრაქტიკულობის გამო არჩახული პოპუ-
ლარობა მოიპოვა და გულგრილი არავინ დატო-
ვა. კულტურე ბიჭებმა თავისი შემოქმედების მთა-
ვარ ელემენტად სწორედ წინააღმდეგობის ტონი
გახიადეს. მანქანებამაც თავი გამოიღეს და ასე
მოდინებლად ჯერ არაფერი უტარებიათ. მაყურე-
ბელი არამეგულეებრივად გაერთო და წინააღმდე-
გობის შესაქენ მისამართესაც გაეცნო.

მოთხოვნისება იმდენად გაიზარდა, რომ-და-
ნიყო წინააღმდეგობის კონვერტილი წარმოების
პროცესი. მოკლე ხანში საქონელი გაიფუდა და
გამარცხავფეროვნდა. მისი ზომა და წინა გათავ-
ლისწინებულად ყველა ასაკისა და სქესის მომხმ-
არებლისთვის, ხოლო შექნა შეუძლია ნებისმიერი
სოციალური ფენის მოქალაქეს.

გაიხისნი მომსახურების 24 საათიანი სერვისი.
მუდმივ წინააღმდეგობის მსურველთათვის გაი-
მართა მომგებანი გათამაშება. მიღწეულ იქნა სა-
ქონლის საყოველთაო ხელმისაწვდომობა და აზ-
როვნების რეფორმაც დაიწყო. მოგვიარდა აზრის
სხვადასხვაობის პრობლემა, რაც დემოკრატიის
გვირგვინად იწოდება. წარსულს ჩაბარდა ერთნა-
რი აზრის ქონის პირველყოფილი პრაქტიკა. ის-
ტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა, აგრეთვე, დომინან-
ტური და პრივილეგიირებული აზრის ასაკობა.
ცნება ავტორიტეტი სამარცხვინო ბოძს ატყვრა.
ერთსულოვნება მოდიდან გადავიარდა. უკომპრო-
მისო წინააღმდეგობის კოეფიციენტმა თანამედ-
როვე ცხოველურ სტანდარტს მიიღნა. პროგრე-
სი შემდგომრებელი იანთესაფრო-მეგობრული კო-
შირები დაირღვა. თითოეული მოქალაქის მუ-
ლობითი დამოუკიდებლობა გარანტირებული გახ-
და.

- დასკვნა: შავი დღე გაუთენდათ კორუპციონ-
ბულბულს, რომელთა მოთხოვნა - "შოიტა ფული!"
- წინააღმდეგუნარიანი მოქალაქეები ინსტინქტუ-
რად პასუხობენ ვიუტი - "არა!"-თი.

სსკპდლის ჰუმანიტარიზაცია

დიდ სოციალურ ომში დაღუპული ჩვენი გენ-
ლიონერებისთვის შარშანდელი შემოდგომა მართ-
ლაც მოსავლიანი გამოდგა. ხელისუფლების გა-
დაწყვეტლებით თითოეულ მათგანს სიკვდილის
შედეგ მიენიჭა დამსახურებული ჰუმანიტარული
ჯილდო - წლების მანძილზე დაგროვებული გა-
უცემელი უქსიის მთლიანი რაოდენობა.

პენსიონერთა შორის გაიმქვეყნებულ კონტინ-
გენტისთვის პრიორიტეტის მინიჭებაც ჰუმან-
ური მოსაზრების ნაყოფია. მხოლოდ გარ-
დაცვლილებს თუ შეუძლიათ იმ სიბარულის



არჩილი

გაქვდა, რასაც დიდი ხნის პენსიის ერთად მიღება იწვევს. ამრიგად, გარდაცვლილ პენსიონერებს, მთელი სამი თვის განმავლობაში ჰქონდათ დატოვებული ოჯახების რჩენის უნიკალური შესაძლებლობა.

სამწუხაროდ მაშინ, როცა სიკვდილის დაფასების ამბავი ყველამ გაიგო და პენსიონერთა უმრავლესობას იმეფუნდა წასვლა სანატრიო დასახლებაში, ყველაფერი დამთავრდა. ბიუჯეტმა თავისი შესაძლებლობები ამონურა და პენსიის მიღების ერთადერთი შანსიც მოისპო.

პარლამენტის გადაწყვეტილებით, საუბუდეოდ, ვერ ხერხდება, პენსიონერთა სიკვდილიანობის შექერბა და სახელმწიფოს 2,350 მილიონიანი ვალი მათ მიმართ დღითღელ იზრდება.

სიკვდილმა ისევ ტრადიციული მუქი ელფერი შეიქმნა და შიშის ზარსაც ძვლებურად ჩამოჰკრა, თუქც მის ამგვარ თავბუდობას ოფიცრობის მხრიდან საპასუხო რეაქციაც მოჰყვა. სექტემბერ-ნოემბრის სამთვიანი ბუდნიერებისა და 8 თვიანი საშიში ინტერვალის შემდეგ, გარდაცვლილ პენსიონერთა პატივგების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ არ გვაქვს სხვა მორალური უფლებათ, ამბობს მთავრობის ერთი ნაწილი, რომელსაც სასესიოთი თიანჩბემა მეორეც, მაგარამ იმასაც აყოლებს, რომ ფული არ არის. ფინანსთა სამინისტროს ამ პოზიციის მიუხედავად, საკითხი კიდევ ერთხელ გადაწყდა გარდაცვლილ პენსიონერთა სასარგებლოდ და სიკვდილი სიცოცხლესათი მშენიერი გახდა. ორ კვირაში დამთავრდება საორგანიზაციო საკითხები, გამოქვეყნდება დაფასებების გასტუმრების გრაფიკი და დაიწყება ვალუბის დაფარვა. პირველ რიგში ყველაზე ღარიბი რეგიონის გარდაცვლილი პენსიონერების ოჯახები დაქმყოფილდებიან.

კიდევ ერთი დეტალი - თუ პენსიონერის გარდაცვალების შესახებ განცხადდება არ გატყუდება 6 თვის განმავლობაში პენსია არ გაიცემა და სიკვდილი ისევ უაზრო გახდება.

დღესმინაც ყველათვის შეიძლება სასიამოვნოსა და სასარგებლოს შეთავსება. მაგალითი აიღეთ ხელისუფლებსგან, რომელც თავისი სიკვდილის ჰუმანიტარიზაციის პოლიტიკით ხელს უწყობს პენსიონერთა უსტყპ აღრიცხვინაობის საკითხის მოწინავეობას.

ხეილბაში პოპულარული ფრაზა

2001 წლის პირველი ნახევრის ბოლოს თბილისში და შესაბამისად მთელ საქართველოში ყველაზე პოპულარული გახდა ფრაზა - "რომ მიხედო, გადმოირეკე" ავტორი, ჯერჯერობით, უცნობია და ეს, ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ სასაბარლო ძალით დადგინდება, მაგარამ ამ საკითხზე გარემოებას ხელი არ შეუშლია ქვეყნის მოსახლეობისთვის იმაში, რომ ზეპირსიტყვიერების ლექსიკონში არსებული ჩვეულებრივი გამოსახმშვიდობებელი გამოთქმები - "კარგად იყავით", "ნახვამდის", "პაპა", "აბა, ჰე", და "ნაი, შენი", - მთლიანად შეეცვალა ზემოაღნიშნული ფრაზით. მხოლოდ მოქალაქებორიგი სიამაყის გრძობით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ ნოვატორულ წამოწყებას საფუძვლად დაედო მშობრული პარტიისა და მთავრობის წინა საარჩევნო დევიზი - "სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ". თავდაპირველად გარკვეული პრობლემები შეიქმნა მანკერი წარსულისთვის დამახასიათებელი მთავრობისადმი დასაბანი უნდობლობის გამო, რაც ხალხის თვალისგან მუქი ფარდით მალავდა სტაბილურობას. ამ ხარვეზის აღმოფხვრა უმალ იკისრა რეფორმატორული იმიჯის მოტრფივალე შს-ში, რომლის ხელმძღვანელობა არაერთი წლის განმავლობაში დაჟინებით იმეორებდა, რომ ქვეყანაში სტაბილიზაცია მიღწეულია.

უბრალო მოკვდავ მოსახლეობას, რომლის მოკვდავობის ხარისხი იმ პერიოდისთვის კრიტიკულის ზღვარს კარგა ხნის გადაცილებული აყო, არაფერი ესმობა, მაგარამ ბოლოს, როგორც იქნა, კარგ მთქმელს კარგი თამკონე გამოუჩნდა და დამინაშვეთა სამყარო გაშვირა თავისი მინისტრის სიტყვები. სულ მალე კრიზისალებმა იერიში მიიტანეს დეკლარირებული სტაბილიზაციის სავარაუდო მიზნისამყოფელზე და კეთილდღეობისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმას შეეცადნენ. ამრიგად ოფიცრობის საშიშრო კურსს ყველაზე ადრე გამოეხატა კანონის შეურაცხყოფელი სურგაბეობა, რომელც თავისი სიმაგის გამო ადვილად გაერკვა მუქი ფარდის ლაბირინთებში.

სხვა ნივთებთან ერთად დაიწყო ქვეყნის მოქალაქეთა და სტუმართა გატაცება-დაფასობება-გამოსყიდვის პერმანენტული პროცესი. გამოიკვეთა მისი მერყევი ხასიათიც, რამდენადაც დახვეწილია გატაცება-დაფასობის მეთოდი, იმდენად უწყალოა გამოსყიდვა-დაბრუნება. ამიტომ გამოშვლებული მოსახლეობა ყოველ დამშვიდობებისას აფრთხილებს ერთმანეთს, რომ მიხიდე, გადმოირეკო!

დასკვნა: ჩვენი სატელეფონო კომუნიკაცია გამართულად მუშაობს. მისი გამოყენება ყველას დაუბრკოლებლად შეუძლია. სწორედ ესაა დემოკრატიული საქართველოს ერთი პირველი ტექნიკური მონაპოვარი. სატელეფონი და ფიჭურ კავშირის თამაშად შეგძლიათ ენდოთ ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა მოგტაცებენ. ასეთ შემთხვევებში ის უბრალოდ შეუცვლელია. მიგიყვანენ - აუცილებლად დაგაერეკებენ!

ალმეხით მოგასალმეხით!

ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ დიდი იმედით გელოთ თქვენ, ვინც "ჰეი, ჰეის!" ძახილით მოდისთან მანდ მომავლიდან და იმის მიუხედავად, რომ ჩვენ თვითონ "აუ, აუს!" ყბილით ვტოვრობთ აქ. წარსულში, მინც ალმეხით მოგასალმეთ!

ახლა მეც წავალ და გადმოირეკავ!





<http://www.opentext.org.ge/arili>

წაიხივეთ
HERE





www.dhll.com
© 2002 D.H.L. All rights reserved.



D.H.L.

